# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი — კვირა, 21 ენკენისთვე 1919 წ. № 204 — ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში), 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:— თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73





პირველი სერია 8 აქტად დღეს იქნება ცნობილი ამერიკული სურათი, რომელმაც გამოიწვია დიდი სკანდალი ამერიკის ვაჭარ-მრეწველთა წრეებში

## ბრძოლა სპეკულიაციასთან
### ანუ შავი ქვეყანა

ამ სურათზე დაინახავთ ამერიკის ბრძოლის საშვალებათ სპეკულიაციასთან. შესვლა შეიძლება მხოლოდ თითოეულ სეანსის დაწყებისას.

კინო-თეატრი. რუსთაველის პროსპ. № 21.

დასაწყისი 1 სეანსის 5 საათ, მეორე სეანსის 7 ნახ. საათ. მესამე სეანსის 10 საათ. საღამოთი. კასსა ღიაა 4 საათიდან.


## ქართული კლუბი

კვირას, 21 ენკენისთვეს, 1919 წელს, ქართ. ქალ. პრო-გიმნაზიის სკოლის სასარგებლოდ გაიმართება

## 5 საათ-დან დიდი სეირნობა 8 ს-მდე

ბავშვთათვის გასართობი: აუქციონი. ალეგრი. პტი შვო და სხვა.

საზაფხულო თეატრში იქნება ვოდევილი და კონცერტი.

1—2558 საღამოს გამგე ნინო ნიკოლოზის ასული გაბაშვილისა.

## მეორე ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აცხადებს, რომ დღეს, 10 საათზედ დანიშნულია

## საგანგებო კრება

დღიური წესრიგი:

1) საზამთრო ბინის საკითხი, 2) ახალ წევრთა და კანდიდატთა არჩევნები, 3) სარევიზიო კომისიის ზოგიერთ წევრთა არჩევნები და სხვა კითხვები.

1—186 1

## აღმასრულებელი კომიტეტი

ვაჭარ-მრეწველთა საბჭოსი, მექანიკოსთა, მეფაბრიკეთა, სახელოსნო სამართველოს დეპუტატთა იწვევს

## საერთო კრებას

ქვემოდ ჩამოთვლილ ჯგუფების თვით დაბეგვრის მოსაწყობად. კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს

### კვირა, 21 ენკენისთვე.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. საწვრილმანო | დილ. | 11 ს. | ქალაქის საბჭო. |
| 2. საგალანტერიო | „ | 11 „ | სახელოსნო კლუბი მიხ. ქ. 66 |
| 3. გილზის ქარხანა | „ | 12 „ | მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საზ. პიროგოვის ქ. 6. |
| 4. აზიური სახელოსნო (თერძები) | „ | 11 „ | მეიდანი. აგენტის კანტორა. |
| 5. თივით სავაჭრო | „ | 11 „ | ბირჟა, პუშკინის ქ., 6. |
| 6. კალათების და ჩემოდანების სახ. | დღის | 2 „ | სახელოსნო გამგეობა. |
| 7. მჭედლები | დილ. | 11 „ | „ „ |
| 8. კორსეტების და ქუდების | „ | 2 „ | „ „ |
| 9. ლუდის ქარხანა | დღის | 11 „ | მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საზ. პიროგოვის ქ., 6. |
| 10. სხვა და სხვა კანტორები | საღ. | 5 „ | ქალაქის საბჭო |
| 11. ლიმონადის ქარხანა | დღის | 4 „ | მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საზ. პიროგოვის ქ., 6. |
| 12. მეჩექმენი და დამზ. ფეხსაცმელი | „ | 2 „ | ქალაქის საბჭო. |
| 13. მოდების სახელოსნო | საღ. | 5 „ | სახელოსნო სამმართ. |
| 14. სამჭედლოური | დილ. | 12 „ | სახელოსნო სამმართ. |
| 15. სალვანო გასტრონომიური | დღის | 1 „ | სახელოსნო კლუბი მიხ. ქ 66 |
| 16. წვრილი მოვაჭრენი | საღ | 5 „ | „ „ |
| 17. წყალსადენი | დღ. | 2 „ | მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საზოგადოება პიროგ. ქ. 5 |
| 18. სპილენძის ქარხანა ) | „ | 6 „ | მეფაბრიკეთა და მექარხნეთა სამმართველო. |
| 19. საზეინკლო სახელოსნო ) | | | |
| 20. ტყავის სავაჭროები | დილის | 10 ნახ. „ | სახელოსნო სამმართველო. |

### ორშაბათს, ენკენისთვის 22-ს

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. შპალიერის მაღაზიები დღის | 10 | „ | ბირჟა, პიროგ. ქ. № 6. |
| 2. კონვერტის ქარხ. „ | 10 | „ | სახელოსნო კლუბი, მიხ, პრ. 66. |
| 3. კუბოების მაღაზია „ | 10 | „ | სახელოსნო კლუბი |
| 4. მენახშ. და მენავთეები დღის | 12 | „ | მეიდანი კონტ. აგენტი. |
| 5. კინომატოგრაფები „ | 11 | „ | მე 2 უბნის კონტ. აგენტი. |
| 6. მეპურეები დილ. | 11 | „ | ქალაქის სამმართველო. |
| 7. მერკინენი „ | 11 | „ | ბირჟა, პუშკ. ქ. 5. |
| 8. კონდიტერის სავაჭ. „ | 10 | „ | სახელოსნო სამმართ. |
| 9. საკომისიო სავაჭრო საღ. | 6 | „ | მე 2 უბნის კონტ. აგენტი. |
| 10. სამრეცხაო „ | 4 | „ | სახელოსნო სამმართველო. |
| 11. საქსოვი სახ. დილ. | 11 | „ | მექარხნეთა საზოგადოება. |
| 12. დურგლები დღ. | 12 | საათზე | სახელ. სამმართ. |
| 13. ფოტოგრაფია „ | 2 | „ | ქალ. გამგეობა |
| 14. პურის საცხობი „ | 12 | „ | სახელ. კლუბი |
| 15. მექუდეები საღ. | 6 | საათ. | სახელ. სამმართ. |
| 16. მეკალაპოტენი და ქუსლის გამომჭრელნი „ | 5 | „ | სახელოსნო სამმართ. |
| 17. ყასაბნი დღის | 12 | „ | მეიდ. კონტ. აგენტ. |
| 18. მკალამბის სახელ. დილ. | 9 | „ | ბირჟა პუშკ. 5. |
| 19. მეძველმანენი „ | 5 | „ | მეიდ. კონტ. აგენტ |
| 20. ყვავილის მაღაზ „ | 12 | „ | ბირჟა |
| 21. ყასბის სახელოსნო საღ | 6 | „ | სახელ. სამმართ. |
| 22. ბანკები და ბანკ. კონტ. „ | 1 | „ | ვაჭართა ბანკი |
| 23. ელექტრონის სადგ. დღის | 12 | „ | მექარხნეთა საზოგ. |
| 24. მოწყობილი ოთახები „ | 4 | „ | ქალაქის სამმართ. |
| 25. ნოტარიუსები „ | 5 | „ | ბირჟა |
| 26. კოოპერატივები დილ. | 11 | „ | სახელოსნო კლუბი |
| 27. სასტუმროები დღის | 1 | „ | სასტუმრო „ნოე" |

გადასახადების გაწერვა სწარმოებს საერთო კრების მიერ ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს და ქალაქის სამმართველოს კონტროლის ქვეშ. კერძო პირთა დასაბეგრად მოცემულია მხოლოდ ერთი კვირის ვადა. 1—2552—1

ღვინით მოვაჭრეთა და საწვრილმანო მაღაზიათა კავშირის გამგეობა

იწვევს დღეს, კვირას, ენკენისთვის 21-ს

## საერთო კრებას

### შემდეგ ჯგუფთა:

1) საბაკალეინო მაღაზიების პატრონებს 11 საათზე ქალაქის სამმარ.
2) ღვინით მოვაჭრეებს—1 საათზე სახელოსნო კლუბში.
3) საწვრილმანოთა პატრონებს საღამო 5 ს. სახელოსნო კლუბში.

დღის წესრიგი: 1) სანიტარული გადასახადის განწესების საკითხი, 2) საორგანიზაციო საკითხები, 3) მიმდინარე საკითხები. ყველას დასწრება სავალდებულოა კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

1 1 გამგეობა.

კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო სააქციო საზოგადოების

## „საქართველო"-ს

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ ამით აცხადებენ დამფუძნებელნი, რომ აქციებზე ხელის-მოწერის უკანასკნელი ვადა

## ოთხი ოქტომბერია

ამ რიცხვისათვის ყოველი საორგანიზაციო კომიტეტები ვალდებულია გამოგზავნოს მთავარი მართველის სახელზე დაწვრილებითი სია აქციონერებისა მისამართითურთ და ანგარიშები სად რამდენი აქცია შეიძინეს და ადგილობრივი ბანკის მოწმობა, რომ წესდების მე-8 § ის მოთხოვნილებისამებრ ფული შეტანილია და ინახება ბანკში, თარიხის აღნიშვნით.

დამფუძნებელთა მინდობილებით საქმეთა მთავარი მართველი ტიტე მარგველაშვილი ბელინსკის ქ., 21, თბილისი. 3—176—3

ექიმ ე. ჩიჯავაძის

ბაქტერიოლოგიური, სერო-დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული

## ლაბორატორია

იღებს გამოსაკვლევად: სისხლს (Wassermann'-ის, Weinberg'-ის, Widal'-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Obermeyr'-ის სპიროხეტები და სხვა). შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ღორწს, ჩირქს, ზურგის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვას. აუტოგენიურ აშზადებს ვაქცინას.

26 მაისის (ოლღას) ქუჩა, გაზაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათ. 15—26988—1

## ხონი და სამტრედია

დამფუძნებელი კრების წევრებს დაურიგდა ცალკე წიგნაკად გამოცემული მოხსენება, რომელიც წარუდგენია ქალაქ სამტრედიას თავის წარმომადგენლების საშვალებით საქართველოს მთავრობისათვის. ეს მოხსენება ფრიად საყურადღებო დოკუმენტია და ჩვენ მას შემოკლებით დავბეჭდავთ ჩვენს გაზეთში. მოხსენება მეტად საფუძვლიანად ახასიათებს „რევოლიუციონური" გზით გაშენებულ ქალაქების ეკონომიურ-ფინანსიურს მდგომარეობას და მათი დღევანდელი მესვეურების მოღვაწეობას. „იაკოჩნი პორიადკომ" აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გაშენებული ქალაქები სულს ღაფავენ იმ ხარჯების გამო, რომელიც მათ კისერზე დააწვა. მთელს მათს შემოსავალს შთანთქავს ქალაქის თვითმმართველობის შენახვა, მოსამსახურეთა დაკმაყოფილება. ამისთვისაც ვალების აღება საჭიროა. გზები, განათება, სკოლები, სისუფთავე? ამაზე ოცნებაც კი არ შეუძლიათ რევოლიუციის დროს გაშენებულს ქალაქებს.

ასეთი ვითარებისაგან თავის დასაღწევათ სამტრედიის მცხოვრებნი სთხოვენ მთავრობას: 1. ვინაიდან სამტრედია საკანონმდებლო გზით არ არის ქალაქად ცნობილი ჯერ ჯერობით ის ქალაქად არ სცნოთ და არ დაამტკიცოთ. 2. გაუქმებულ იქმნას მასში ქალაქის თვითმმართველობა და შემოღებულ იქმნას წვრილი სათემო საერობო მართველობა. 3. მიეცეს ბაზრის მცხოვრებთ იყოლიონ ბაზრისა და ვაჭართა დეპუტატები, რომელნიც გაუძღვებიან ბაზრის განსაკუთრებულს საქმეებს. 4. დღეს არსებული საქალაქო თვითმართველობის ავეჯი, ქონება და სხვა ინვენტარი გადაეცეს თემის საერობო გამგეობას".

ასეთი შინაარსის არის სამტრედიის მცხოვრებთა თხოვნა. რამდენადაც ვიცით ასეთი შინაარსის შუამდგომლობა აღძრა ზესტაფონმა და კიდევ ვგონებ რამოდენიმე ახლად დაარსებულ ქალაქებმა. მაგრამ ყველაზე უფრო გახმაურდა ხონის შუამდგომლობა.

ხონის მესვეურებმა, ქუთაისის ადმინისტრაციამ და ვგონებ უმაღლეს მთავრობამაც ეს სრულიად უმანკო შუამდგომლობა ხონის მოქალაქეების რევოლიუციათ, კონტრ-რევოლიუციად და კიდევ სხვა ასეთ უბედურობათ მიიჩნია. ამ საქმის ლიკვიდაცია ჯერ არ მომხდარა და მახლობელი დღეები გვაჩვენებენ როგორ დასრულდება. საქმე კი ასე უნდა დასრულდეს. თუ ჩვენს რესპუბლიკაში მოიპოება უფლებრივი წყობილების ნიშანწყალი, თუ მოქალაქეთა კანონიერი აზრისა და სურვილის თავისუფალი გამოხატვა მცირედ მაინც არის ცნობილი და უზრუნველყოფილი, თუ მოგვეპოება სიტყვისა და კრების თავისუფლების თუნდაც ჩანასახი, არა ერთმა და ორმა ხონის ქალაქის თვითმართველობის მეთაურმა და ხელმძღვანელმა უნდა მოიტეხოს კისერი იმ საშინელი პროვოკაციისთვის, რომელიც მათ შექმნეს ამ საკითხის გარშემო.

საკითხი მარტივია: 19 აგვისტოს ხონის მოქალაქეებმა გამართეს კრება და შეიმუშავეს რეზოლიუცია, რომელიც უკვე გამოქვეყნდა გაზეთებში. მათ დაადგინეს მთავრობისთვის ეთხოვნათ ის, რაზედაც აღძრა შუამდგომლობა ქ. სამტრედიამ, ზესტაფონმა და სხ. ეს რეზოლიუცია, რასაკვირველია, არავითარ საბუთს არ აძლევს ვინმეს, რომ ხონის მოქალაქეთა ეს ნაბიჯი უკანონოთ გამოაცხა- [illegible] მცხოვრებთ ხელი უნდა მოეწეროთ. ამისთვის მეორე კრება დაინიშნა 24 აგვისტოსთვის.

არავისთვის არ იყო საშიში ასეთი გამოსვლები, არც მთავრობის პრესტიჟისთვის, არც წესრიგისა და მშვიდობიანობისათვის, ვინაიდან კრება შეიკრიბა მშვიდობიანად და მშვიდობიანადვე დაიშალა. ეს იყო საშიში მხოლოდ იმ ბობოლებისათვის, რომელნიც გუშინ მიკიტნები იყვენ და დღეს ქალაქის მეთაურებად გახდნენ. აი ამათ ასტეხეს განგაში. შესთვალეს ქუთაისში—გვიშველეთ! ხონში კონტრრევოლიუცია დაიწყო, ხონში „პოგრომი" მზადდებაო. მართლაც 24 აგვისტოს ხონს ესტუმრა ქუთაისიდან გვარდია, ადმინისტრაციის ხელმძღვანელნი და რამდენიმე ავტომობილით მუშათა საბჭოს წევრები. პოგრომი არ ხდებოდა. კრება მშვიდობიანად გრძელდებოდა, თუმცა ახლად ჩამოსულ წესრიგის დამცველებმა თავის გამოსვლებითა და შენიშვნებით მოუნდომიათ მათში არევ-დარევის შეტანა.

ამის შემდგომ როგორ უნდა მოქცეულიყო რიგიანი მთავრობა, რომელიც შეცდომაში შეიყვანა ხონის მეთაურებმა? რასაკვირველია, ისინი უნ და დაესაჯა. ამის ნაცვლად იბარებენ ქუთაისში კრებაზე ამორჩეულ პირთ, რომელთაც კრებამ რეზოლიუციაზე მცხოვრებთა ხელის მოწერის მოწყობა და მისი მთავრობისათვის წარდგენა დაავალა. მათ ქუთაისში ექვსი დღით აკავებენ. შემდეგ ხონში დაბრუნების ნებას აძლევენ. შემდგომ კიდევ იბარებენ. რას ნიშნავს ეს? რას მოასწავებს? სად ვცხოვრობთ, აღმოსავლეთის რომელიმე სასატრაპოში, თუ უფლებრივ სახელმწიფოში, სადაც მოქალაქეს თავისუფლებას და მის კანონიერ უფლებების განხორციელებას თვით კანონი იცავს?

ხონის ისტორია უწესოების ყოველგვარ საზღვარს სცილდება და ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციას დამფუძნებელს კრებაში ამის შესახებ ხმის ამოღება ჰმართებს.

## მხეცთა მოშენება?

მიწად-მოქმედების სამინისტრო მხეცების მოშენება განუზრახავს. მალე ამის შესახებ ეგოულ განსაკუთრებული დეკრეტიც გაცოვა. ჯერ მხოლოდ ინსტრუქციები და ადმინისტრატიული განკარგულებით იწყებს ამ დიადს საქმეს ის სახელოვანი უწყება. 21 ივნისს 1919 წ. ბ-ნ ხომერიკს შეუმუშავებია ნიხრი № 3 „საქართველოს ტყეებში არა პირდაპირ სხვა და სხვა სარგებლობაზედ". ეს ნიხრი სხვა და სხვა სარგებლობას არა პირდაპირ ეხება, ხოლო პირდაპირ კი ის მხეცთა მოშენების და დაცვის საქმეს ემსახურება.

ნიხრში აღნიშნულია, თუ რა გადასახადი უნდა გაიღონ მცხოვრებლებმა ტყეებში ცხვრის, ღორის, თხის და სხ. გაშვებისათვის. ნიხრი ეხება აგრეთვე ტყეებში ნაყოფის მოგროვებას და თხილის, კაკლის, ტყის ვაშლის, წიფელის რკოს, მოცვისა, ნედლი თხილის ფოთოლისა, ფურცლის ტოტებისა და ფოთლის, მუხისა და ცაცხვის [illegible] ბას" ბაჟს ადებს 10—100 მანეთამდე. ნიხრი აგრეთვე ბაჟავს საფლავის ქვებსა და წისქვილის ქვებს და აგრეთვე უბრალო ქვასა და სილას.

ამის შემდგომ ნიხრი აწესებს შემდეგ გადასახადს: დათვის თითოჯერ მოკვლაზედ—50 მან., მტაცებელ ნადირზე—30 მან., თევზის ჭერა ბადით—100 მან., კიბოს ჭერა—10 მან. და სხ.

აი ასეთი პოლიტიკის წარმოება განუზრახავს ბ-ნ ხომერიკის სამინისტროს! ამ ჟამად ჩვენ არ შევეხებით ყველა ამ „სარგებლობათა" დაბაჟვის საკითხს. მიწად-მოქმედების სამინისტროს ჩვენ ალბად ვერ დავაჯერებთ, რომ ყველა ეს ბეგარები, რომ გონიერი და სამართლიანიც კი იყოს, მისი ცხოვრებაში განხორციელების ძალა სამინისტროს არ შესწევს და მისი შედეგები ვერ დაფარავს მაზე გაწეულს ხარჯებს ყველა სხვა საკითხებს, ხალხის გაღიზიანებასა და გაჯავრებას თავი რომ დავანებოთ.

მაგრამ ნიხრი № 3 აწესებს ისეთს ბეგარას, რომელიც უკვე უვიცობისა და უგუნურების ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ის ბეგრავს დათვის, მგლის, მელის და სხვა მტაცებელ და მავნე ნადირების მოკვლას!!!

თითქოს ჩვენ გვქონდეს დაცული სანადირო ტყეები და იქ მოშენებული გვყავდეს მხეცები იმისთვის, რომ დრო გამოშვებით ნადირობით თავი გავირთოთ და ნადირის მოკვლისათვის ფული გადავიხადოთ! საქართველოს ტყიანს და მთიანს ადგილებში მცხოვრებლებთ თავი ვერ დაუცავთ ამ ნადირებისაგან. ყანებში ნაყოფი რომ დამწიფდება, ამის შემდგომ ყანებს ძთელი ღამეებით დარაჯობენ, ან დიდს შრომას ხარჯავენ და ყანებში გაჰყავთ წყალი, რომ მისი შემწეობით მოაწყონ მექანიკური საფრთხობელები, რომელთა ხმაურობა ნადირს აფრთხობს. სადაც ეს არ ხერხდება ნადირს თოფით სდარაჯობენ და ნაყოფს იცავენ.

ასეთს პირობებში, შენი ნამუშევარის დასაცავად ნადირს ჰკლავთ. მოვა თქვენთან ბ-ნი ხომერიკი და ნადირის მოკვლის გამო ბაჟს გთხოვთ. რისთვის? მტაცებელი, მავნე ნადირის მოკვლისთვის? ჩვენი ხალხი კი როგორ იქცევა ასეთს შემთხვევაში? თუ სოფელში ვინმე მგელს მოჰკლავს, მგლას

# უკანასკნელი ცნობები

მოელიან ზემო სილეზიაში პოლონელთა ხელ ახალ შეტევას.

ბელგიამ განაცხადა რომ გერმანელ ტყვეების დაბრუნებას საჩქაროდ შეუდგება.

ვალდენბურგში (სილეზიაში) უსურსათობის გამო არეულობა მოხდა.

ბულგარეთის ხელშეკრულების პროექტი უმაღლეს საბჭომ მიიღო და პარასკევს ბულგარეთს გადასცემს.

ბოლშევიკებმა ქ. ჟიტომირი აიღეს და წინ მიიწევენ.

სამხრეთისკენ საბჭოთა ჯარმა კ...რიენევი დასტოვა.

---

ან ქორს და სხვა ასეთს მტაცებელ ცხოველებს, მკვდარ ნადირს სოფელ სოფელ ჩამოატარებენ და ყველა ოჯახი მას საჩუქარს აძლევს—ქათმებს, კვერცხებს, ტყვია-წამლებს და სხ. აქაც ერთგვარი ბეგარა არის დაწესებული ბ-ნო ხომერიკი, მაგრამ ბეგარას იხდის არა ის, ვინც მავნე ნადირს ჰკლავს, არამედ ის, ვისაც ეს ნადირი მოაშორეს და მით სარგებლობა მოუტანეს.

რას ნიშნავს ბ-ნი ხომერიკის ბრძანება? ნუ თუ მან საქართველოში მხეცების მოშენებას მოჰკიდა ხელი და მათ დასაცავად ბრძანებებს სცემს? რით ირჯებით, თქვენი ასეთი გონიერი მოღვაწეობით საქართველოში ოთხ-ფეხა და ორ-ფეხა მხეცები და ნადირები ისედაც ძალზე გამრავლდა...

## დამფუძნებელი კრება

პარასკევს ნაშუადღევის 12 საათზე გაიხსნა დამფუძნებელი კრების მეორე სესია. თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. დღის წესრიგშია სამანდატო კომისიის მოხსენება შესახებ დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნებისა, იურიდიულ კომისიის მოხსენება შესახებ სენატორთა არჩევისა და გზათა უწყების დეკრეტი რკინის გზის დასაცავად განსაკუთრებული რაზმის დაარსებისა.

**გრ. ურატაძე.** (სოც.-დემ.) სამანდატო კომისიის სახელით მოახსენებს კრებას დამატებითი არჩევნების შესახებ. 10—12 აგვისტოსთვის არ მოხერხდა მომხდარიყო არჩევნები ყველა იმ ოლქებში, სადაც არ იყო არჩევნები პირველი არჩევნების დროს. არჩევნების მოხდენა შეუძლებელი გახდა ამ დროსათვის აფხაზეთში. სამანდატო კომისიას სავსებით დაუმტკიცებია ცენტრალური საარჩევნო კომისიის [illegible] ბორჩალოს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში, თიანეთის და დუშეთის მთიანს ადგილებში და სვანეთში. ყველა ეს არჩევნები სამანდატო კომისიამ დაამტკიცა. დამატებითი არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 87 ათას მოქალაქეს. საბოლოო საარჩევნო მეტრი ყოფილა 4439. დამფუძნებელი კრება ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას.

**არსენიძე** (სოც.-დემ.) იურიდიული კომისიის სახელით აცხადებს, რომ კომისიამ ვერ მოასწრო სენატორების არჩევის საქმის სავსებით დასრულება და თხოულობს ეს საკითხი წესრიგიდან ამოირიცხოს.

**ჭავჭანიძე** (სოც.-დემ.) აკეთებს მოხსენებას შესახებ დეკრეტისა რკინის გზების დასაცავად განსაკუთრებული რაზმის შედგენისა და ამისთვის საჭირო თანხის გადადებისა. მომხსენელი ეხება უკანასკნელ დროს რკინის გზაზე მომხდარ ამბებს და გზათა-კომისიის სახელით წინადადებას იძლევა, რომ დეკრეტი მიღებულ იქმნეს. ამის შემდგომ ამ საკითხის განხილვა დროებით წყდება და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ესალმება ინგლისის წარმომადგენელს კავკასიაში ბ-ნ ოლივერ უორდროპს, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგთან ბ. საბახტარიშვილთან ერთად დიპლომატიურს ლოჟაში შემოვიდა.

**ალ. ლომთათიძე.** ამბობს, რომ მას აქვს უდიდესი ბედნიერება მიესალმოს საქართველოს დამფუძნებელს კრებაში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს ბ. უორდროპს, რომელსაც საქართველო თავის მეგობრად სთვლის. ის ეხება საქართველოს პოლიტიკურს მდგომარეობას დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ და ჰგამოსთქვამს იმედს, რომ დიდი ბრიტანეთს და სხვა ევროპის სახელმწიფოებს საკმაო საბუთი აქვს დასარწმუნებლად, რომ საქართველოს შესწევს უნარი და ძალა საკუთარი დამოუკიდებელი არსებობისა. მისალმების დაწყებიდანვე მთელი კრება ფეხზე დგება და ოვაციებს უმართავს ბ. უორდროპს.

ამის შემდგომ თავმჯდომარე მიმართავს მისალმებით სამუსულმანო საქართველოს მეჯლისის წევრებს, რომელნიც ესტუმრენ საქართველოს დამფუძნებელს კრებას ზია-ბეგ აბაშიძის [illegible] თქვამს მტკიცე იმედს, რომ სამუსულმანო საქართველო სულ მოკლე ხანში შეუერთდება საქართველოს [illegible] ამის შემდგომ მასთან ერთად განაგრძობს საერთო სამშობლოს აღორძინებისათვის მუშაობას. კრება ოვაციებს უმართავს სამუსულმანო საქართველოს მეჯლისის წევრებს. ამის შემდეგ გრძელდება დეკრ. განხილვა.

**ნ. რამიშვილი.** შინაგან საქმეთა მინისტრი აღნიშნავს უკანასკნელ დროში მომხდარ თავდასხმებს და ამტკიცებს, რომ ყოველივე ეს დაკავშირებულია ზოგიერთ უცხო სახელმწიფოების აგენტების მუშაობასთან. საქართველოს მტრებს უნდათ შექმნან აქ ანარქია, რომ მით საბჭოთა რუსეთის საქმე აკეთონ აქ. მინისტრი საჭიროდ სთვლის აგეთი გამოსვლის წინააღმდეგ განსაკუთრებულ ზომების მიღებას. რკინის გზაზე დაინიშნება გენერალ-გუბერნატორი და შესდგება განსაკუთრებული რაზმი მატარებლების დასაცავად. მთავრობას განზრახვა აქვს აგრეთვე სხვა ზომების მიღება, რომელნიც კრებას შემდეგში მოხსენდება.

**ალ. ახათიანი** (ეროვ.-დემ.). ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია სავსებით ეთანხმება გზათა უწყებას, რომ უკანასკნელ დროს რესპუბლიკის რკინის გზებზე გახშირებულ დაცემათა აღმოსაფხვრელად განსაკუთრებული ზომების მიღება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ცხადია, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივობის მტრები უცხო ქვეყნების აგენტები თუ აქ მყოფი ბოროტმოქმედნი სარგებლობენ საქართველოდან ინგლისის ჯარების გაყვანით და ასეთს დროს უნდათ შექმნან ჩვენში ანარქია და არევ-დარევა.

რომ საჭიროა განსაკუთრებული ზომები, ამას მე ვფიქრობ, დამფუძნებელი კრების ყველა წევრები დაეთანხმება. საკითხი მხოლოდ ამაშია—როგორი ზომები აქვს განზრახული მთავრობას, უზრუნველყოფს თუ არა ეს დასახული მიზნის მიღწევას. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ჰფიქრობს, რომ გზათა უწყების მიერ განზრახული ღონისძიებანი, რომელსაც ჩვენ დღეს მივიღებთ, სრულებით საკმარისი არ არის. საჭიროა უფრო რადიკალური ზომების მიღება და ამის შესახებ მთავრობის განზრახვების მოსმენას მე ბ. შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მოველოდი. სამწუხაროდ ის მხოლოდ ამ ბოროტმოქმედებათა დახასიათებას დასჯერდა და არ გვამცნო ჩვენ რა ზომების მიღებას აპირებს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოში წესრიგისა და მშვიდობიანობის დასაცავად. რკინის გზის მატარებლების დაცვა, რაც უნდა კარგად არ მოეწყოთ ის, მიზანს ვერ მიაღწევს, რესპუბლიკის რკინის გზებზე მშვიდობიანს და უშიშარ მოგზაურობას ვერ უზრუნველყოფს. ყველა ვაგონები რომ მილიციელებით აავ[illegible] არ იქნება დაცული, უკეთუ გზის გარეშემო არ იქნება დამყარებული წესრიგი და ბოროტ-მოქმედთა თარეში მოსპობილი არ იქნება. რკინის გზა საქართველოს შუაზე სჭრის. როგორ გნებავთ მაზედ მშვიდობიანობა დაიცვათ, უკეთუ ავაზაკობა და ბოროტ-მოქმედება დაიბუდება იმ მაზრებში, რომელნიც მის გარშემო მდებარეობს. ამიტომ მოველოდით ჩვენ ბ. შინაგან მინისტრისაგან საკითხის უფრო ფართოდ გაშუქებას. რა ზომების მიღება აქვს მას განზრახული ყველა მაზრებში ადმინისტრატიული აპარატის გასამაგრებლად, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ადმინისტრაციის შესაქმნელად, ვინაიდან ის რაც ჩვენ გვაქვს, არ არის ადმინისტრაცია, საიმედო ძალა მშვიდობიანობისა და წეს-რიგის დასაცავად.

როდესაც ჩვენ გაფრთხილებდით ნუ დაუჩქარებთ ადმინისტრაციის ერობებისთვის გადაცემას, ჯერ შექმნათ ერობები, განამტკიცოთ ისინი და მერე გადაეცით მათ ეს ახალი ძიმე ვალდებულებათქო, თქვენ არ დაიჯერეთ. დღეს ყველა აშკარად ვხედავთ, რომ ახლად დაარსებულ თვით-მმართველობებთ არ ძალუძთ სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა ფუნქციების შესრულება, ისინი ვერ ზიდავენ ასეთ მძიმე ტვირთს და ამით ზიანდება ყველა მათი საქმეები.

თქვენ ჰფიქრობდით, რომ დემოკრატიული იდეა მოითხოვდა მოუწყობელ ერობებისათვის გადაცემას ყველა იმ საქმეებისა, რომელთაც ისინი ვერ დასძლევდენ.

რკინის გზის დაცვის მოწყობა გაგვიძნელდება თუ საზოგადოთ ადმინისტრაციის შექმნაზე არ ვიზრუნეთ. თავდასხმები მარტო რკინის გზებზე არ ხდება, ამ დღეებში რამოდენიმე თავდასხმა მოხდა ქალაქებსა და სოფლებში. შესაძლოა ეს კიდევ გავრცელდეს. ამისთვის საფუძველი ნიადაგია ის ფსიხოზი, რომელიც ხალხს მიუდო—ადამიანის უფლებისა და საკუთრების უარყოფა და უპატივცემლობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თავისი კურსის გამოცვლა ჰმართებს. ერობებში ადმინისტრაცია მოუწყობელია, ამასთანავე დაბალი ადმინისტრაციის დამოკიდებულობა ერობასთან და შინაგან საქმეთა უწყებასთან არ არის ნათლად გამორკვეული. ყოველს მოხელეს საბაბი ეძლევა დაემორჩილოს ერობას, როცა ეს მას ესურვება, ანუ შინაგან საქმეთა უწყებას, როცა ეს მისთვის სარფა არის, და ეს კი ჰქმნის ისეთს მდგომარეობას, როდესაც მოხელეებს შეუძლიათ არავინ არ სცნონ და არავის არ დაემორჩილონ. უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ასე არის ადმინისტრაციული აპარატის გაერთიანება, მისი ერთ ბრძანებლობის ქვეშ დაყენება—აი რა არის აუცილებელი, თუ მთავრობას სურს საქართველოში წესრიგის აღდგენა. მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება, თუ შინაგან საქმეთა უწყებამ თავი არ დაალწია ფავორიტების ძებნას და ყველა თავისი იმედების მათზე დამყარებას. უწყებამ უნდა შეიგნოს, რომ არც ერთმა მისმა ფავორიტმა მას იმედი არ გაუმართლა. ამორჩევა ერთი კაცის, მისი იქით აქეთ წაწევა და ყველა თანამდებობებზე მოთავსება, გგონიათ რომ იყოს ეს ერთი პირი, მეტად შემცდარი და არა საიმედო პოლიტიკაა. უნდა გამომუშავდეს წესი, სისტემა უნდა შეიქმნეს მთელი ორგანიზაცია, თორემ ერთი კაცის შემყურე და მოიმედე ერთს კუთხეში ვერ დაამყარებთ მშვიდობიანობას, არამც თუ მთელს რესპუბლიკაში.

**არსენიძე** (ს.-დ.) ეკამათება ასათიანს და ამტკიცებს, რომ ერობები სულ მალე შესძლებენ ადმინისტრაციის წესიერად მოწყობას. საჭიროა მხოლოდ მისი დახმარება და ხელის შეწყობა.

**ნუცუბიძე** (ს.-ფ.). საჭიროდ არ სთვლის ამ საკითხზე კამათის გამართვას და უსაყვედურებს მინისტრს, რომ მან საკითხი ფართოდ დააყენა.

**გობეჩია** (ს.-რ.). ეკამათება მინისტრს და მომხდარ ამბებს ადმინისტრაციის სისუსტით ხსნის. ვაგონებში რომ მილიციელები ჩასვათ, თუ მატარებელი გადააგდეს რელსებიდან დაიღუპება ხალხი და მილიციელებიც. ამ საქმეს უფრო სერიოზული ღონისძიება გამოასწორებს.

უკანასკნელ სიტყვაში მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დეკრეტის პრინციპიალური მოწინააღმდეგე არავინ ყოფილა. კრება ღებულობს დეკრეტს და სხდომა იხურება 2 ნაწ. საათზე.

## მთავრობის წრეებში

13 ენკენისთვის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

**დახმარება განაპირა კუთხეების მოსწავლეებს.**

გადაიდოს განათლების მინისტრის განკარგულებაში 200.000 მ. აფხაზეთისა, აჭარა ქობულეთისა და საქართველოს სხვა განაპირა კუთხეების მოსწავლეთა დახმარების აღმოსაჩენად.

**სალიკვიდაციო დახმარება.**

უფლება მიეცეს განათლების მინისტრს აღმოუჩინოს სალიკვიდაციო დახმარება შტატს გარეშე დარჩენილ მოხელეებს.

**მასწავლებელთა ჯამაგირების მომატების შესახებ**

უფლება მიეცეს იმავე განათლების მინისტრს ამა წლის 20 მაისის და 2 აგვისტოს დეკრეტები (რესპუბლიკის სამოქალაქო უწყებათა სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის ჯამაგირების მომატების შესახებ) გაავრცელოს უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებზედ, რომელნიც ერობათა და ქალაქთა თვითმართველობათა განკარგულებაში იმყოფებიან.

**ახალციხე-ახალქალაქის სამომრიგებლო ინსტიტ. მოხელეთათვის**

გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 94,600 მან. ახალციხე-ახალქალაქის სამომრიგებლო ინსტიტუტის მოხელეთა ჯამაგირებისათვის.

**ყარაიაზის სამომრიგებლო სასამართლოს შენობისათვის.**

გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 33,658 გ. ყარაიაზის სამომრიგებლო სასამართლოს შენობის შესაკეთებლად.

**ცხინვალის გზის შესაკეთებლად.**

გადაიდოს გზათა მინისტრის განკარგულებაში 50,000 მან. გორის სამაზრო ერობის დასახმარებლად (ცხინვალის გზის შესაკეთებლად).

**სატყეო მასალა დაზარალებულ სოფლებს**

უფლება მიეცეს მიწათ-მოქმედების მინისტრს დაზარალებულ სოფლებს საშენებელი სატყეო მასალა უფასოდ დაურთოს.

**რკინის გზებზე ბოროტმოქმედებათა საწინააღმდეგოდ.**

დაევალოს შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრებს შეიმუშაონ გეგმა რკინის გზებზე ბოროტ მოქმედებათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

**ქართული 8 მანეთი...ი.**

მოწონებულ იქმნას 3 ...ანეთიანის ქართული ბონის ნახატი.

## ჩერქეზთა აჯანყება

ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსულთა ცნობით აჯანყებულმა ჩერქეზებმა რკინის გზის ლიანდაგი გუდერმესსა და გროზნის შუა აჰყარეს, სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა პეტროვსკს და როსტოვს შორის სადგურ მოზდოკამდე სწარმოებს.

## დეპეშა ქუთაისიდან

ხონის დეპუტაცია, ლუკა ბახტაძე და სხვანი დატუსაღებულნი არიან ქუთაისის საპყრობილეში. მიიღეთ ზომები სასწრაფოდ განთავისუფლებისათვის და საქმის გამოსარკვევად.

ქუთაისის ეროვნ. დემოკრ. კომიტეტი.

## ქრონიკა

✤ **მთავარ კომიტეტის კრება დღეს** კვირას, ენკენისთვის 21-ს დილის 11 საათზე „საქართველოს" რედაქციაში შესდგება ერ. დემოკ. პარტიის მთავარ-კომიტეტის მორიგი სხდომა. გასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

### საგ. საქმ. სამინისტროში.

✤ **ბორჩალოს მაზრის სოფლების შუამდგომლობა.** ბორჩალოს მაზრის. ნეიტრალური ზონის სოფლებმა: ილმაზლომ, ჯუჯა-კენტმა, სოულ-ბულაღმა, ყარაგალამ, ყარაისამ და პრივოლნაამ შუამდგომლობა აღძრეს საქართველოს მთავრობის წინაშე ამ სოფლების საქართველოსთან შემოერთების შესახებ

✤ **უცხოეთი სამხედრო ტყვეთა საყურადღებოდ.** 1919 წ. აგვისტოს 1-ს ქ. ჰამბურგში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბერლინელ წარმომადგენლობის მონდობილებით საქართველოს მომავალ სამხედრო ტყვეებს ჩამოერთვა გერმანული სახელმწიფო მარკები. ჩვენი მოხსენების საპასუხოდ საქართველოს დემ. რესპ. მთავრობამ ბრძანება გას-

---

## სონეტი როდენბახს

შენ მოწამლული მირაჟების ჭვარტლი გედება.
და გახურებულ ბურანებში სხვას ელოდები;
უცნობ ქალების ჩვენებანი მთვარის ლოთები
გახრჩობენ ხარბად ვით ძერების შავი გედები.

კატაფალკების გასაყოლად ხმა გემეტება
კუბოში ბეჭდებს დაიტირებ წვიმის ნოტებით,
ავადმყოფ სახლებს აპატიე ძველი ცოდვები
და საფირონი დარდიანი ღერბად გენთება.

მკვდარ ქალაქებში დასდიოდი როგორც ლაზურა
და კვირაობით ეს ქვეყანა გეუცნაურა
როცა თეატრებში დადგებიან მრუში ზარები.

ქვაფენილიდან სითეთრენი გესევა პირველს,
მზე ცოფიანი მოაქანებს აწეულ წირვებს
და ლეტარგიის ზარძმიდან სვამ ზიარებას!

1918 წ. გ. ლეონიძე

## სიტყვის დამბლა

მონოლოგითის მოგონება საქართველოს ტანში—და ფიქრების საშინელი.

ქალწულური სულის თაისარი უმძაფრესი ნიჰილიზმით. ქმედითი ენერგიის მოდუნება და სიცოცხლის ხალისის ამღვრევა. ცქერა მხოლოდ: და ისიც: არა ისეთი, რომელიც ხილვასა შობს, არამედ ისეთი, რომელიც ინერციაში გადადის. თანაბარ: დავიწყება, რომ „პირველი იგი იყო სიტყვა." თან: სილატაკე ცნაურის და უმწეობა გამოთქმის.

იყვნენ: მიქაელ მოდრეკილი და იოანე მტბევარი; გიორგი მთაწმინდელი და შოთა რუსთაველი, იყო ხილვა მახვილი და სიტყვა მოკვეთილი. გამოთქმა: უტეხი ტევრი, სადაც ილვენთება ველური სურნელი; სიტყვა: ლითონი მრავალი და ძვირფასი თვალი; თქმაში: რეკვა ნამდვილი; სიტყვათ დენა: მაგარი და ნელი რიტმი, როგორც სუნთქა მიწის მკერდების. გარშემო: ობელისკები საიდუმლო წარწერებით.

და ეხლა: ხრიოკი, ხრიოკი, ხრიოკი. ფერთა გახუნება და სურნელთა შმორი; რეკვის მაგიერ შემზარავი ხრიალი; სმენა დაჩლუნგული: რითმა ქალწული ყელ გაბაწრული; რიტმი კოჭლი და საცოდავი. დამძიმება სიტყვის და დაკორძება გამოთქმის. ხიწვი მრავალი: სრული დაკარგვა სიტყვის გზნობის. ხმოვანების ამოვარდნა დუხმოთა დაგროვება. ცინდრიკი და ბორძიკი.

მთელი ქართული ლიტერატურა ავადაა საშინელი მემკვიდრეობით: ქართულს სიტყვას დამბლა დაეცა. ყველაზე უფრო ეს თავსა ჰყოფს გამოთქმის უმწეობაში. მთქმელს სიტყვა ვერ მოუძებნია, რომ ერთი მოკვეთით აითვისოს საგანი. იგი წამოისვრის ერთს სიტყვას, მაგრამ წამოსროლის შემდეგ შიში იპყრობს: ვაი თუ ვერ გამოსთქვას საჭირო,—და პირველ სიტყვას მეორე სიტყვას აკერებს თითქმის თანაზროვანს: ეგებ ამის დახმარებით გამოითქვას. დამბლის ნიშანი უეჭველია. და ივსება ქართული ლიტერატურა ასეთი საცოდაობით:

სვე—ბედი.
ბედ—იღბალი.
ციხე—სიმაგრე.
მართვა გამგეობა.
წეს—რიგი.
წეს—წყობილება.
სწავლა—განათლება.
ყოფა—ცხოვრება.
ზნე—ჩვეულება
გაშლა—განვითარება.
ხუნდ—ბორკილი.
ნება—სურვილი.
ყოფა—მდგომარეობა.
ძალა—უფლება.
ახსნა—განმარტება.
ძმობა—ერთობა.
ძარცვა—გლეჯა.
ჭირ—ვარამი.
ტანჯვა—წამება.
ტანჯვა—ვაება.
მინდორ—ველი
ხოცვა—ჟლეტა.
წეწვა გლეჯა.
ზრდა—განვითარება.
ცემა—ტყეპა.
ლანძღვა—გინება.

და მრავალი და მრავალი სხვა. შესაძლოა თამამი: ამ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში ვერც ერთს ქართველ მწერალს ვერ აუცილებია ეს ავადობა. განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნეში: დიდები და პატარები—ყველანი არიან აქ ავად ამ სიდამბლით.

უკანასკნელი დამთავრება ამ უმწეობისა ვინმე ივ...ნ დვალში ჰპოულობს განსახიერებას. აიღეთ ჟურნალი—„რუსთაველი". ჯერ წარწერა: „საქართველოს ეროვნულ-ხალხოსნურის და საზოგადოებრიულ—თემოსნურის შოთა რუსთაველის ჯგუფ პარტია". ხომ საოცარია: „ეროვნულ ხალხოსნური", „საზოგადოებრიულ — თემოსნური", „ჯგუფ-პარტია". მას სიტყვა ისე ვერ მოუბრუნებია, რომ ამრიგათ არ აწამოს სიტყვა. აი თუ გინდ: „შოთა რუსთაველი თამარ მეფის დროს მეთორმეტე საუკუნეში ერთი უდიდესი და უშესანიშნავესი მწერალ-მქადაგებელი იყო ეროვნულ-ხალხოსნურის და საზოგადოებრიულ-თემოსნური აზრებისა და მიზან-იდეალებისა." ან კიდევ უფრო საშინელი: „თავისუფლება თანასწორობის დარგ სფეროში." და მრავალი სხვა: „მიზან-პროგრამა," „ხალხ-თემის," „მუშა-მშრომელი", „დროშა-ალამი". და ურიცხვი კიდევ.

ცხადია: მე აქ დვალი არ მაინტერესებს თავის თავად: იგი ჩემთვის ნიშანია მხოლოდ, რომელშიაც ყველა მწერლებზე უფრო მკაფიოდ გამოიჭრა სიტყვის უმწეობა. ამიერიდან დვალიზმი ქართულს ლიტერატურაში ხაზი იქნება სიტყვის დუალიზმის (-ჰუმორისტი იტყოდა: დვალიზმი უდრის თვითონ დუალიზმს, რადგან „უ" ხანდახან „ვ"-ში გადადის). ქართული მწერლობის კვლევარს ექსპერიმენტალურ შეუძლია მონახოს რომელიმე ქართველი მწერალის სიტყვის ძალა: თუ რამდენათ ავადაა იგი ამ სიდამბლით. ცდა უთუოდ ნაყოფიერი იქნება.

გრიგოლ რობაქიძე.

## ტირილი უცნობისთვის

შუაღამე. მირაჟების რკალი.
ცარიელი ქუჩა ობლად დარჩა.
დაიკარგა იისფერი ქალი,
მარმარილოს ალარ შვენის ფარჩა.
არ მასვენებს ქანდაკების ლანდი,
ეკლიანი სიმახინჯეც მოვა;
დავივიწყე სხივოსანი დანტე.
და ცრემლები დაიწყებენ თოვას.
მაგონდება: თეატრი ანტუანეტა.
გილიოტინა. და მწუხარე რაში.
სადღაც სძინავს სილამაზეს კენტად,—
ავ ბოდვაში ჩაშოდნება ვაჟი.
სისხლიანი ბარათების გროვა
დაიკივლებს უცნაური ბნედით.
ოცნებაში ვერ დაიმტვრა გლოვა—
ჩუმად ტირის თოვლიანი გედი.
ფანტასები. მირაჟების რკალი.
ცარიელი ქუჩა ობლად დარჩა.
დაიკარგა იისფერი ქალი,
მარმარილოს ალარ ჰშვენის ფარჩა...

გ. ბრონშტეინ.

ცა ამ ფულის სამაგიეროდ დაუბრუნდეს სამხედრო ტყვეებს, რომელთაც ფული ჩამოერთვათ ჰამბურგში, ქართული ბონების სახით. მივმართავთ ყოველ სამხედრო ტყვეებს გამოგზავნონ ბერლინელ საელჩოს სახელით გაცემული ბარათები კვიტანციები და წერილებით მიმართონ შემდეგი ადრესით: თბილისი. სამხედრო სამინისტრო. სამ-ნეო განყოფილების საქმის მწარმოებელს ბ. ალექსანდრე ნემანს. მოვაგონებთ ყველას რომ აუცილებლად საჭიროა საელჩოს კვიტანციების გამოგზავნა, ისე ფულის გაგზავნა შეუძლებელი იქნება. სარანსპ. კომისიის თავმჯდომარე ფილ. დოქტ. კონსტანტინე გამსახურდია.

## სტუდენტთა ცხოვრება

**ბინა სტუდენტთათვის.** გუშინ შუადღის 12 საათზე ქალაქის მოურავს წარუდგა სახელმ. უნივერ. სტუდენტ. დელეგაცია და სთხოვა, რათა ქალაქის გამგეობამ მისცეს მათ ერთი ერთი შენობა სტუდენტთა საერთო ბინის მოსაწყობად. ქალაქის მოურავმა ყურადღებით მოისმინა შუამდგომლობა და აღუთქვა მათ სათანადო დახმარება.

## სხვა და სხვა ამბები

**განაჩენი:** კობიაშვილს და ბარპაქაძეს ჩამოერთოთ უფლება და გაიგზავნონ ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში თითო მათგანი 3 წლით. სილაძეს კი ჩამოერთოს ყოველივე განსაკუთრებული ღირსება და უფლება და გაიგზავნოს ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში სამი წლის ვადით. მინა გიორგის ძე ბერიძე უდანაშაულოთ იქმნას ცნობილი და გამართლებული.

**საინტენდანტოს საწყობის გაქურდვა.** 18 ენკენისთვეს ღამით გაქურდეს საინტენდანტოს საქონლის საწყობი, საიდანაც მოიპარეს 30,000 მანეთად ღირებული „ბრეზენტები". მილიციამ აღმოაჩინა ნაპარევი საქონლის ნაწილი და ქურდები შეიპყრა.

**ქურდობა** იუველირის ქუჩაზე მცხოვრებ ახალოვის ბინიდან მის შინ არ ყოფნის დროს მოიპარეს 38,900 მანეთის ნივთები. მილიციამ შეიპყრო ქურდი, რომელიც აღმოჩნდა მოქალაქე გიორგ მალაძე.

**სამხედრო წესები რკინის გზებზე** მთავრობამ დაადგინა 18 ენკენისთვიდან საქართველოს რკინის გზებზე გამოცხადდეს სამხედრო წესები და [illegible] დაინიშნოს მილიციის უფროსი პორუჩიკი ვ. ა. სულაქველიძე თავის თანამდებობაზე დატოვებით.

## შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის №№ 198 და 199 მოთავსებულ წერილში „რისთვის მოიპოვეს თავისუფლება" შემდეგი შეცდომები: 1) 6.000.000 კონსერვები, უნდა იყოს 600.000. 2) 3.000 000 მ. გადავდე, უნდა იყოს 200.000 მანეთი დავხარჯე. 3) ერბოს ყიდულობს უნდა იყოს ზეთს ყიდულობს. პირველ ნაწილის ბოლოში უნდა იყოს: რომ თუ ნუქის ღირებულება № 1593 კონტრაქტის მე-7 ე მუხლის თანახმად კონტრაგენტის ე. ი. ჩემს მუხ. შეტანილია სახელმწიფო ბანკში, № 2659 ბარათით.

## საზავო ხელშეკრულება საფრანგეთის სენატის კომისიაში

სენატორ რეინადმა წარუდგინა კომისიას ორი მოხსენება საზავო ხელშეკრულების პირობების შესახებ.

რეინადმა სთქვა, რომ ხელშეკრულებაში გატარებულია იდეა საფრანგეთის 1871 წ. შელახულ უფლებათა აღდგენის. ელზას-ლოტარინგი უბრუნდება საფრანგეთს — თავისუფალი ყოველ გვარ ვალებისაგან. საფრანგეთი მიიღებს მთელ სახელმწიფოებრივ ქონებას და კერძო რკინის გზებს. ბილის ნავთსადგური შეუერთდება სტრასბურგისას და დარჩება ფრანგის მმართველობაში 7 წლის ვადით, ამ ვადის გაგრძელება შეიძლება 3 წლით.

მეორე მოხსენება შეეხება იმ ცვლილებათა შეფასებას, რომელიც ხელშეკრულებით მანგეიმის 1868 წ. კონვენციაშია შეტანილი. ახალი კომისიის რომელიც კონტროლს გაუწევს ზღვაოსნობას რეინზე, თავმჯდომარეთ ფრანგი დელეგატი იქნება. საფრანგეთს უფლება ეძლევა გამოიყენოს წყლის ძალა, ამისათვის მუშაობაც დაიწყოს. გერმანიის ასეთი მუშაობის დაწყება აღკრძალულია თავისივე ნაპირებზე. საფრანგეთს უფლება რჩება დაიჭიროს ამ ნაპირებზე დასაყრდნობი პუნკტი, რომელიც მისთვის საჭირო იქნება.

## იაპონია და რუსეთი

დასავლეთ ევროპის გაზეთები მსჯელობენ კოლჩაკსა და იაპონიის შორის გამართულ მოლაპარაკებაზე. ვაშინგტონიდან 4 ენკენისთვის თრილით იუწყებიან:

ტოკიოდან მივიღეთ სენსაციური ცნობა, რამაც ამერიკის მმართველი წრეები მეტად აღელვა.

ომსკის მინისტრთა საბჭომ იაპონიის მთავრობას მიჰმართა ოფიციალურ თხოვნით აქტიური სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ. სამაგიეროდ რუსეთი ჰპირდება სახალინის თავის ნახევარს და უსურიის მხარეში კონცესსიებს. ამერიკის ოპოზიციონური პრესსა მთავრობას უსაყვედურებს, რომ მან ისეთი ხელშეკრულების დადების უფლება მისცა, რაც იაპონიის გავლენას შორეულ აღმოსავლეთში ხელს უწყობს.

ლიონიდან ენკენისთვის 5-ის თარიღით იუწყებიან, რომ რუსთა ახალშენიც მეტად აღელვებულია კოლჩაკის წინადადებით. ბევრს ამ ცნობის სინამდვილე არა სწამს, და მას ბოლშევიკების გამოგონილ ჭორად სთვლის.

მიღებულ საბჭოთა რადიოდანაც სჩანს, რომ კოლჩაკს ასეთი ნაბიჯები გადაუდგამს მოსკოვიდან მოსულ ცნობით კოლჩაკი იაპონიას მხოლოდ უსურიის კონცესიებს კი არ აძლევს მთელ უსურიის ოლქს უთმობს.

საზავო კონფერენციამ საზონოვს სთხოვა ამის შესახებ განმარტებანი მოეცა.

საზონოვმა შემდეგი პასუხი გასცა:

1) იაპონიის ციმბირის საქმეებში ჩარევის შესახებ ომსკიდან არავითარი ცნობა არ მიმიღია.

2) თუ კოლჩაკმა იაპონიას დახმარება სთხოვა, ალბად ეს გამოწვეული იყო მეტის-მეტის გამოუსვლელ მდგომარეობით.

3) ტოკიოს კოლჩაკმა ალბად მიჰმართა იმ აზრით, რომ აღარ ჰქონდა იმედი სხვის დახმარებისა.

4) საზავო კონფერენციას არ აქვს უფლება მოსთხოვოს პასუხი იმ სახელმწიფოს, რომელთანაც არა აქვს დიპლომატიური კავშირი და არც წარმომადგენელი ჰყავს დანიშნული.

## ესტონეთ-რუსეთის საზავო მოლაპარაკება

**პეტროგრადი.** ენკ. 19. ესტონელთა დელეგაციამ წინადადება მისცა მოლაპარაკება გადაიდოს იმ დრომდე, სანამ ფინლიანდიიდან, ლატვიიდან და ლიტვიიდან საზავო მოლაპარაკების წინადადებაზე პასუხი მოვა. თუ ჩამოთვლილი რესპუბლიკები გამოეხმაურებიან დადებითი პასუხს, მაშინ მოლაპარაკებას მათთან ერთად აწარმოებენ.

საღამოს 7 საათზე მოლაპარაკება შეწყდა და დელეგაცია წავიდა.

ფინური გაზეთი იუწყება, რომ 14-ს სექტემბერს რეველში, ტრომპის ციხე-დარბაზში ფინლიანდიის, ესტლანდიის, ლატვიას და ლიტვის მთავრობათა თავმჯდომარეებისა და გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირი მოხდა საბჭოთა მთავრობის მიერ მიცემულ წინადადების გამო ზავის ჩამოგდებაზე მოლაპარაკების დასაწყებათ.

ესტლიანდიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ 16 სექტემბერს პსკოვში დაიწყეს უკვე მოლაპარაკება რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ზავი აუცილებლათ ჩამოვარდება თათბირი ჰქონდათ შემდეგ კითხვაზე: რა მდგომარეობაში ესტლანდია და სხვა განაპირა სახელმწიფოები ბოლშევიკებთან ბრძოლის წარმოების დროს, შესაძლებელია თუ არა ზავის ჩამოგდების მიხედვა: შესაძლებელია მიიღონ გარანტია იმის შესახებ, რომ ბოლშევიზმი არ იქნება გავრცელებული განაპირა სახელმწიფოებში; ნეიტრალურ ზონის დაწესების შესახებ; ანტანტის მიქმედება ბოლშევიკებთან ბრძოლის გაგრძელებაზე და ზავის პირობების შესრულების გარანტიის შესახებ. თათბირი კვირას მთელი დღე გრძელდებოდა, ორშაბათს კი ნაშუადღემდის.

## საფრანგეთი

**ბულგარეთთან ხელშეკრულება**

უმაღლესმა საბჭომ მიიღო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ბულგარეთის დელეგაციას გადაეცემა გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში.

**ვივიანის სიტყვა პალატაში**

გუშინ დეპუტატთა პალატაში ვივიანმა ცხარე სიტყვა წარმოსთქვა ვერსალის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის სასარგებლოდ. ორატორი მოითხოვს პატრიოტიულ გაერთიანებას საფრანგეთისას, რათა მიღებული გამარჯვება სავსებით გამოიყენოს ქვეყანამ.

## გერმანია

**ზემო სილეზიაში**

ზემო სილეზიიდან მოსული ცნობების თანახმად, ამ დღეებში მოელიან პოლონელების ახალ შემოტევას. მოკავშირეთა კომისიის წევრები განაგრძობენ მოსაზღვრე სოფლებში დაახლოვებითი ცნობების შეკრებას, იმის შესახებ, რომ აქ მომხდარ ინციდენტს ჰქონდა რაიმე კავშირი სპარტაკელებთან თუ არა.

**გერმანიის ტყვეები**

ბელგიის მთავრობამ განაცხადა, რომ ბელგიიდან გერმანიის სამხედრო ტყვეების გადაყვანას დაუყოვნებლივ დაიწყებენ.

**ერცბერგი და ჰელფერიხი**

ფინანსთა საქმეების სტატს-სეკრეტარმა ჰელფერიხმა განაცხადა, რომ ის ფინანსთა მინისტრ ერცბერგის წინაამდეგია არა კერძო ნიადაგზე, არამედ ობიექტიურ მიზეზების გამო. ერცბერგის ფინანსიური პოლიტიკას არა აქვს მტკიცე საფუძველი და იღებს მხედველობაში ისეთს გადასახადებს, რომლის გადახდა გერმანიას არ შეუძლია.

**არეულობა სილეზიაში**

ვალდენბურგში, სილეზიაში სურსათის სიძვირის გამო არეულობა მოხდა.

**გერმანიის პრესა და ვალიუტა.**

გერმანიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს გერმანიის ფულის კურსის დაცემას სხვა ქვეყნებში, რამაც განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში, ფარიკე ხასიათი მიიღო.

## დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

(ბოლშ. რადიო)

### ბოლშევიკების ოპერატიული ცნობები

**ჩრდილოეთის ფრონტი.** ენკენ. 19. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს, მოწინავე ნაწილებმა დვინის მარჯვენა ნაპირზე, მდ. ვაგის შესართავთან 10 ვერ. სოფ. კონდრატოვსკოე დაიჭირეს.

**დასავლეთის ფრონტი.** ფინლეთის ყურეში მტრის ჰაეროპლანები კრონშტატზე ისევ გამოჩნდნენ და ყუმბარები ჩამოყარეს. მტრის ერთი ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. ლუგის და გდოვის მიმართულებით ბრძოლაა. გდოვის სამხრეთ-დასავლეთით 35 ვერ. ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. დასავლეთ დვინის რაიონში ჩვენი ჰაეროპლანი მტრის 3 ჰაეროპლანთან იბრძოდა და ბრძოლის შემდეგ ერთი ძირს ჩამოაგდო. პლოცკის რაიონში ვილეიკის მიმართულებით ლეპელის ჩრდილოეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარი ახალი პოზიციებისაკენ იხევს ბორისოვის მიმართ. ბორისოვის გარშემო ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა ტყვეები წამოიყვანა. სარნის მიმართ. ოლევსკთან ჩვენი ჯარი იბრძვის. ოლევსკი ხელიდან ხელში გადადის. ჟიტომირის მიმართულებით ჩვენი ჯარი უკრაინის სამხრეთ ნაწილიდან მოსულ რაზმს შეუერთდა და ჟიტომირი აიღო ჩვენმა სამხრეთის რაზმმა 3 კვირის განმავლობაში 300—400 ვერსი გაიარა, გზა და გზა მან დაამარცხა მტერი, წამოიყვანა ტყვეები, ხელში ჩაიგდო ზარბაზნები, ტყვიის მფრქვეველები და სხვა სამხედრო მასალა. რომლის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია. ჩერნიგოვის რაიონში ნეჟინის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლაა.

**მოსკოვი.** ენკენისთვის 16. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

**გერმანული პრესა და ფონ-დერ ჰოლცი**

გერმანიის პრესა ძლიერ თვალყურს ადევნებს კურლიანდიაში ფონ-დერ-ჰოლცის გერმანულ ჯარის მოქმედებას „ფორვერტსი" იუწყება, რომ გერმანელების ჯარის უარის განცხადება კურლიანდიიდან წამოსვლის შესახებ, სადაც მათ მიწებს დაჰპირდნენ, ფაქტიურათ პოლიტიკურა გამოსვლაა, რომელიც ოფიცრებისაგან არის მოწყობილი და რომლებიც ბალტიის მხარეში აქტიურობას ჩვენ და ბალტიის ბარონებთან და მემამულეებთან შეიდროთ არიან დაკავშირებული. „ფორვერტსი"-ი სწერს, კურლიანდიაში სამხედრო პირები იმავე წრეებს ეკუთვნიან რომლებიც სცდილობდენ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერისთვის ხელი შეეშალათ ეხლა კი, მთავრობის ანგარიშის გაუწევლად სცდილობდენ აღმოსავლეთ ოლქებში გადაირჩინონ თავი. აღმოსავლეთში ამ მოძრაობის ბელადები გერმანიის მთავრობის ინფორმაციულ ბიუროში სხედან და მთავრობის სამსახურში იმყოფებიან. „ფორვერტს"-ი ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, ისინი მიისწრაფიან მთავრობის ავტორიტეტი დასცენ „ფორვერტ"-ის წინააღმდეგ „ფოსიშე ცეიტუნგი" კრიტიკას უკეთებს გერმანიის მთავრობას, რომელიც, გაზეთის აზრით, ფონ-დერ-ჰოლცს მხარს უჭერს. „ფოსიშე ცაიტუნგი" — რომელიც სცდილობს მორიგების პოლიტიკა აწარმოოს როგორც რუსეთთან ისე საფრანგეთთან, ამბობს, რომ გერმანიის ოფიცერთა წრე და ბალტიის ბარონები სცდილობენ რუსეთის განაპირა ადგილები და ხალხები ერთი მეორეს გადაჰკიდონ, და შემდეგ რუსეთის რეაქციის თანახმად მათ ავტონომია წაართვან. შემდეგ გაზეთი აცხადებს, რადგან ეს პოლიტიკა ტარდება, გერმანიის არმიის ჯარის საშუალებით, ამიტომ აუცილებლათ უნდა ვიფიქროთ, მთავრობა მას თანაგრძნობით უყურებს, რადგან მთავრობა, რომელიც წინააღმდეგი იქნება ასეთი ამბების, იმავ დროს არ შეიძლება ამ ამბებს შეურიგდეს და ეცდება ხელის შეშლას. და თუ კი ის თავის სისუსტეს აღიარებს, მაშინ ის მთავრობა უნდა გადადგეს. ამ ცნობათა გამოქვეყნება გერმანიის ჯარს სრულიადაც არ აწუხებს. მისი მთავარი ორგანო „დეიტშე-ტაგეს-ცეიტუნგი" გადმოარტყავს, რომ ფონ დერ ჰოლცი დაბრუნდა მიტავაში იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს გერმანიის ჯარსა და ლატიშთა შეჯახებას. უთანხმოების მიზეზი კი ლატიშთა მიერ დაპირებულ ადგილებზე უარის თქმა. გაზეთი მთავრობას წინადადებას აძლევს, რომ სწრაფ მათი მოთხოვნა შესრულდეს.

## პატარა ფელეტონი

### გუშინ და დღეს

**გუშინ.** — „მობრძანდით, — ქალბატონო, მობრძანდით! ერთი თქვენი კეთილი თვალით ჩვენსკენაც მოიხედეთ! სიყმე არ მომიკვდეს, ამაზე იაფათ ვერსად იშოვით! მერე რა საქონელია და! პა, პა, პა! ანუკა!"

**დღეს.** — „არა მაქვს მეთქი, გეუბნები, ვისთვის ჩამცივებიხარ, ვირი ხომ არ მოგიყიდნია?!"

**გუშინ.** — „ქალბატონო, ნება მიბოძეთ, რომ ცოტახანს ჩემ ნათლი-დედასთან მივირბინო; თვალის დახამხამებაზე ისევ აქ გავჩნდები!"

**დღეს.** — „ქალბატონ — ბატონობა გათავდა, ჰკუდა! დადექით და თქვენ თვითონ გააკეთეთ ვახშამი! „კომიტეტმა" გადასწყვიტა — რვა საათის იქით მოსამსახურე არ შეაწუხოთ!"

**გუშინ.** — „მოთხოვნების წამოყენებას ვინ ნებ მე მაგაია! ხო არ უნდათ, ციმბირში ვაკვრევინო თავი?!"

**დღეს.** — „ამხანაგებო, ნება მიბოძეთ, რომ ჩემ ქარხანაში ე პატიოსანი ნაცნობი კაცი მივიღო".

**გუშინ.** — „ახ ნეტა იმას, ვისაც თვეში ოცდა ათი თუმანი აქვს და არაფერზე დარდობს!

**დღეს.** — „კისერი მომტყდეს ამ დროსა, რომ წავიდეს და აღარ მოვიდეს! თვეში ორასი თუმანი მაქვს ჯამაგირი და ნახევარზე მშიერი ვარ! ა...ახ, წინანდელი სამი თუმანი მომცა!"

**გუშინ.** — „ნამდვილათ ქურდია ე ჩვენი „პოვარი!" სულ რაღაც თხუთმეტი კაცი მყავდა გუშინ სადილათ და ოცდაორი მანათის „სხოთი" წამომიყენა! ამიტო ორაგული რვა აბაზობაზე მიანგარიშა! გაგონილა, თქმულა?!

**დღეს.** — „მე და ჩემი ცოლი იოლათ მივდივართ, რა ვქნათ, — „ჭამა ქონებაზე ჰკიდია". თითო ფერს ვაკეთებთ, ხან ლობიოს, ხან ბადრიჯანს, — ხორცი დიდიხანია თვალით არ გვინახავს! — და დღეში ათ თუმანზე მეტი არ გვეხარჯება, ღვთის მადლით!"

**გუშინ.** — „ნამდვილი ამხანაგია, ძაან პატიოსანი კაცია!"

**დღეს.** — „ამხანაგს! ვის ეძახი?! მის ამარაი ხუ იგინები, თორე...ე!

**გუშინ.** — „Его принципъ — безпринципность! ნამდვილი „კარიერისტია", უნივერსიტეტიც თბილი ადგილისთვის გაათავა!"

**დღეს.** — „აბა ჰკუის გოგრა ეგ არი და! ვიცი, სპეკულიაციით თითქმის სამი მილიონი შეძლება იშოვნა! Геніальный человекъ!"

**გუშინ.** — „ვიღაც ერთ სათოკე სოციალისტს გაჰყვა... თურმე, მშიერ მწუხრვალნი კვდებიან! აი მომიკვდეს მაგისთანა ქალი!"

**დღეს.** — „არ იცი, სოფიო, რა ბედში ჩავარდა ეფროსინიანთ ქალი! აი მაგაზე იტყვიან: „ქალი იჯდეს, ბედს ელოდესო!" სოციალისტია, პარტიის კაცი! „დვარეცში ისე შედის-გადის, როგორც თავის სახლში! მწვანილის საყიდლათაც კი ავტომობილით დადის! ნეტა ჩემ კატუშასაც მისცა ეგ ბედი!"

**გუშინ.** — „ძირს! ძირს! ჰკათ — მაგ რეაკციონერ — ფეოდალსა! ავტონომიას იმისთვის თხოულობს, რომ ბატონ-ყმობის შემოღება უნდა ისევ!"

**დღეს.** — „ვინც ჩვენ გვაკრიტიკებს და იერიშები მოაქვს ჩვენზე, ის ჩვენი დამოუკიდებლობის მტერია, რადგან ჩვენ საყვარელ სამშობლოს დამოუკიდებლობას ჩვენზე ერთგულათ არავინ იცავს!"

ან—დონატო.

## ჩრდილოეთ-კავკასიის ხალხები

6

### I. ოსები

ოსთა რიცხვი სამასი ათასზე ცოტა მეტია, ამ ხალხს უჭერია შუაგული კავკასიონ, მისი გადმოღმა კალთები და ქართლის გასწვრივი გადაღმა ფერდობები. მთელი მათი ბინა მეტისმეტად მწირია, ხრამ-ღელოვანი; მთიან-ხევებიანი. ოსეთს ერთის მხრით აუდია უმაღლესი მწვერვალი მყინვარი, მეორე მხრივ ბრუტსაბძელი და მის გაყოლებაზე მთები რაჭისკენ.

სახნავ-სათესი ადგილები ფრიად მცირეა, იალაღებითაც მდიდარი არ არის. რაც არის, ძლივს ყოფნის ადგილობრივ ცხვარს და სხვა პირუტყვეულობას.

აკეთებენ აგრეთ წოდებულ „ოსურ ყველს". აქა-იქ იჭსოვება შალი. მაგრამ ყველა ეს ვერ შეიქმს ცხოვრების საკმაო სახსარს და ხალხი ეკონომიურად დამოკიდებულია ბარის ხალხებისაგან, რომელთაგან ეზიდებიან ხორბალს, ღვინოს, ხილს. ადგილობრივ ხდიან ქერის ლუდს, არაყს.

მადნეულით და მადნეულ წყლობით ქვეყანა მდიდარია, დაშთენილ ძველ ლექსებიდამ სჩანს, რომ აქ ბლომად ყოფილა ვერცხლის მადნებიც.

სიმწირის—გამო ადგილისა ხალხი ბლომად გადის გარეთ, მეტადრე თბილისს და ნოქრობით ან სხვა ხელობით იგებს ფულს და ასაზრდოებს სახლობას, შვილებს აძლევს განათლებას. ოსები, საზოგადოდ, სწავლის მოყვარე ხალხია და მათში დღეს ბევრია საფუძვლიანად ნასწავლები, ინჟინერები, იურისტები.

ბოლო დროს განავითარეს მწერლობაც. უკეთეს მგოსნად ითვლიან კოსტას.

უმთავრესი მათი ქალაქია კავკავი ანუ ძაუდი ანუ ძაუგი—ყავი.

დღევანდელი ოსობა ნაშთია უწინდელ ძლიერ ხალხისა—ალანისა ანუ არანისა. ეს სახელი ეხმაურება თვით ოსურს ირ=ოსეთი, ირონ=ოსი. ოსურ გადმოცემით, იყვნენ სამნი ძმანი: ქართილ, სუონ და ოს. პირველისაგან წარმოსდგნენ ქართველები, მეორისაგან სვანები და მესამისაგან ოსები.

მაშასადამე, ოსურ გადმოცემით, ირონები იგეთივე ძველი დროის ხალხია, ვით ქართველები.

ქართლის—ცხოვრების ცნობით, ხაზართა ტალღა მადიასის წინამძღოლობით რომ შემოესია საქართველო—სპარსეთ-მიდიას (725 წ. ქრ. წ.) და დიდის დავლითა და საქართველოდ განა და სომხეთ-სპარსეთიდგან წაყვანილ ტყვეებით რომ დაბრუნდნენ ხაზარები დარიალის ყელით, მაშინ თერგის მარცხნივ დასახლდა ხაზართ მეფის ძე უობოსი ქართველ-სომხეთა ტყვეებით და მუნ შეიქმნა ოვსეთი შავ-ზღვამდე.

ბერძენ—რომაელთა მწერლების სიტყვით ალანი წინად სცხოვრობდა კასპიის ზღვის იქით, მერე დარუბანდში და ჩრდილოეთ-კავკასიის მთელს მიდამოში. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ იგინი უნდა ყოფილიყვნენ დონ, დნეპრ, დნესტრ დუნაიზედაც: ოსურად დონ= მდინარე, წყალი. საჭიროა შევნიშნოთ, რომ ამავე ენით აიხსნება სახელი ძველის ხალხისა: ხაზაი, ხაზარეთი. ოსურად ხაზარ=სახლი.

ოსების ქართული სახელები ოვსი= მეგრ. ობსი=ოფსი, სვანურად სავ უახლოვდებიან ერთის მხრივ მათ პირველ მეფის უობოს სახელს და მეორეს მხრივ ერის საგრომატების წოდებას.

ალან-ოსი მეტად მეტად ძლიერი ხალხი იყო. არა ერთხელ იგი სხვებთან ერთად იბრძოდა ალპებში, დუნაიზე, თვით აფრიკაშიაც. მათვე ბრძოლა აუტეხეს ქართველებს მე-V საუკუნეში, მაგრამ ვახტანგ გორგასლანს ვერ გაუმაგრდენ, ვინაიდან მათ სამშობლოში შესულმა ვახტანგმა, რომ „ფეხი შედგა იალბუზზე, მთებმა იწყეს დრეკა".

ისტორიულ უბედურებებმა, აზიიდან მოსეულმა მრავალი ოსი გასწყვიტა, მრავალიც ალბად თან გაიყოლია და ის უწინდელი სიპრავლე დღევანდელ ერთ მუჭა ოსობაზე ჩამოდგა და კავკასიონში ჩაიკეტა.

ქართულ წყაროების მიხედვით, ოსეთში ქრისტიანობის თესლი განაბნია ჯერ ისევ ანდრია მოციქულმა ღვთისა-ქართველოში რომ ქრისტიანობა დამყარდა, ოსეთსაც გაეფინა ეს სწავლა. ვახტანგ გორგასლის დროს ოსეთი უკვე შეადგენდა დიდ მცხეთის კათალიკოზის სამწყსოს. მაგრამ მისი გავლენა ალბად ვრცელდებოდა უფრო კავკასიისა შიგან ოსებზე, ვინაიდგან არის ცნობა, ჩრდილოეთის ოსეთი შეადგენდა ცალკე სამიტროპოლიტოს, რომელიც ემორჩილებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქს. ეს რთული კითხვა ვრცლად გამორკვეული გვაქვს ჩვენს თხზულებაში—„ოსეთის ისტორია", აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ოსეთი ძველი დროთაგანვე ემორჩილებოდა ნიქოზის ეპისკოპოსს, ნიქოზელს.

სამწუხაროდ, ვერც ქრისტიანობამ შეადუღა ოსის ხალხი. ხანდახან ძლიერი მეფეები ჩნდებოდენ მათში, მაგრამ ამისთანაებმაც ოსებს ვერ შეუქმნეს თავისი ანბანი, თვისი ქალაქები და საკუთარი სახელმწიფო ტერიტორია.

ყაბარდოელების მოწოლისა გამო მათ თანდათან დასტოვეს თავის მინდვრები და მთებში შეიჭრნენ და იქიდან ქსანსა და არაგვის ერისთავების მოწვევით ქართლის ფერდობებსაც ეწვივნენ. საქართველო რომ რუსეთს შეუერთდა, ოსებმა კიდევ დიდხანს იბრძოლეს თავიანთ თავისუფლებისათვის. მაგრამ ეს ბრძოლა შეერთებულია ლევან ბატონიშვილის გმირულ პიროვნებასთან, და მის ამბის მოთხრობით და რუსების საქართველოში დამკვიდრების მოკლე ისტორიით დავასრულოთ წერილი.

### II

**რუსების დამკვიდრება საქართველოში და გმირი ლევან ბატონიშვილი. (1786 - 1811)**

სული შეიქმს ისტორიას თუ ისტორიას ჰქმნის სული,—ეს ერთი და იგივეა: უსულოდ ისტორია არსად არასდროს არ მოგვარებულა.

ლევან ბატონიშვილი თვით განხორციელებული სული იყო, მერე სული იმ ლაღი მთისა, რომელიც ზრდიდა შამილებს, ყაზბეგს მის ელგუჯებით, ვაჟას მის გმირ—არწივებით, ილიას მის განდეგილებით...

„ამა ნუგეშით აღძრული სული
აღმევსო ნელის სიხარულითა..
და მომევლინა მე კაცი დიდი,
მყინვარზე მდგომი, მოხუცებული...
მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი:
ყურადღებითა შორს გაჰყურებდა".

სწორეთ ამ მყინვარსა და მიდამო მწვერვალებზე ეიდოდა სული ლევან ბატონიშვილისა მაშინ, როდესაც თავისუფალ საქართველოს უკანასკნელი ვითომ ძამი ჩამოირეკა, როდესაც მეფე—მთავრები გვირგვინს იხდიდნენ და მისთავაზებდნენ ჩრდილოეთის ძლიერებას, ზოგნი კიდე ადგილობრივ მეცადინეობდნენ ჩაეშრიტათ და ჩაექროთ ოცნავლა მბჟუტავი სხივი მრავალ ათასწლოვან ეროვნულ მისწრაფებისა.

შური, მტრობა, ღალატი, გამცემლობა, არევ-დარევა,—ყველა ეს უხეშ ძალის წაქეზებით მოედო ერის ხელმძღვანელ უმაღლესს წოდებასა და წრეებს. მათ მიერ გაჩანაგებულმა ხალხმა იგრძნო მათდამი უაღრესი ზიზღი და თითქმის ხმა-ამოუღებლივ შეურიგდა ახალ წეს-წყობილებას. მარტო მთის სულმა ვერ შეიშვინა მამა-პაპათა მიერ შემუშავებული წყობილების დარღვევა, თუმცაღა ამ ნაც უკანასკნელ გმირის კუბოს წინაშე ეჭვი ნად შეჰბღავლა:

„ვცნათ აწ, ვინღა გაგვიწევს ერეკლეობასა!"

მთის სულის ეჭვიანობა უსაფუძვლო არ იყო. ერეკლეს ჰყავნდა 24 შვილი, გიორგის 23, და მათში არც ერთი არ იყო ჭეშმარიტი სახელმწიფო კაცი. იმის მაგიერ, რომ განეგდოთ ერთურთის მტრობა, შეერთებულიყვნენ, ერთ ძლიერ ძალად ექციათ თვის მიერვე დაქუცმაცებული ამერეთი, ძმური ხელი ჩაეჭიდათ ივერიის შეერთებისთვის ძმურად ხელ-გამოწვდილ იმერთათვის, იგინი მოსისხლე მტრებივით აღარ ინდობდნენ ერთმანეთს, ესერდნენ ერთ-მეორეს, ზოგი გარბოდა საქართველოს დაუძინებელ მტრებისკენ. ამასობაში ხალხი გაწამდა, გაისრისა და ზურგი შეუქცია მოკინკლავეებს. ბატონიშვილებმა თვისი ბედ-უბედობა თვითონვე გამოსჭედეს: ჩიტებივით შეიპყრო იგინი და ჩრდილოეთის გზას გაუყენა, იქეთმა სახელოვანმა სახელმწიფო კაცმა, ვითარიც იყო პავლე ციციანოვი.

გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ჭაბუკი ლევან ბატონიშვილი. მისთვის არსებობდა არა საკუთარი „მე", არამედ მხოლოდ საქართველო და მისი თავისუფლება.

ლევანი იყო შვილი ჟულონისა (ირაკლის ძისა). იგი დაიბადა 1786 წელს. მისი მამაც იბრძოდა ახალი წყობილობის წინაამდეგ, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძებიც, მაგრამ ყველა ესენი გამარჯვებით მოელოდნენ თავიანთ გამეფებას, ხოლო ლევანის მიზანი არ იყო ესრე ეგოისტური, იგი ზრუნავდა გამართულ ბრძოლით მოეპოვა ან, უკეთ ვთქვათ, აღედგინა სამშობლოს ახლად დაკარგული თავისუფლება.

1801 წელს 18 იანვარს პეტრეს ქალაქში გამოაცხადეს შეერთება, მაგრამ ამაზე წინად ჩვენი ბატონიშვილები, რომელთა რიცხვი, ვიმეორებთ იყო მრავალი, გაფანტულიყვნენ თავიანთ საუფლისწულოებში, და თითქმის ყოველი მათგან თავის თავს სთვლიდა თუ არა მეფედ, მთავრად მაინც. მათს იმედებს ხელს უწყობდა ერეკლეს მიერ გამოცხადებული ახალი წესი მეფობისა: არა მემკვიდრეობით, როგორც მანამდე მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იყო, არამედ უფროსს-უმცროსობით, როგორც ოსმალეთშია. ამ წესით, ხელმწიფის გარდაცვალების შემდეგ მეფობა ერგება არა მის მემკვიდრე შვილს, არამედ უფროსს გვარეულობაში. გიორგი მეფე რომ გარდაიცვალა (28 დეკ. 1800 წელს,). ყველას მეფობის სადერდელი აეშალა, ყველამ მოინდომა ყოფილიყო „წყალობით ღვთისათა, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიანი, მეფე ყოვლისა საქართველოისა, ქართლისა, კახეთისა და სხვათა მფლობელი და მპყრობელი". უპირველესი ამათ შორის იყო თვით ლევან ბატონიშვილის მამა, იულონი, რომელიც ჯერ ხნობით თავის-თავს გორისა და ქართლის მეფედ სთვლიდა, ხოლო ყაენისაგან ხანადაც იხსენიებოდა.

დავით ბატონიშვილი სწერს თავის მასალებში (გვ. 64):

— 1802 წელს აღადგინეს ამბოხი კახთა და წარუვლინეს კაცი მეფის ძეს იულიონს იმერეთს, რათა მოვიდეს კახეთს და ჰყონ მეფედ. მისრულნი ესე კაცნი მეფის ძეს ვახტანგთან დუშეთს, ამანცა (ვახტანგმა) მისწერა ძმასა თვისსა იულონს, რათა მოვიდეს და ესეცა იწვე ეყოს მას არაგვთა მხედრობითა. მსმენელთა რუსთა ტფილისით წარავლინეს ტუჩკოვი, რათა შეიპყრონ, და თანა წარატანეს თარხნიშვილი სოლომონ. მისვლა მათი სცნა ვახტანგმა და გაიქცა დუშეთით აღვიდა გუდამაყარს და მუნ გამაგრდა, გარნა ვინაიდგან ხალხმა მთიულებმა და აგრეთვე ფშავ-ხევსურთაცა. არა მისცეს პირი, ამად უმალ ჩამოვიდა ტფილისს, და პატიმარ ჰყვეს რუსთა აველაბრის სასახლესა შინა დედოფლისასა ვიდრე მოსვლამდე ციციანოვისა, ხოლო მან მსწრაფლ წარავლინა რუსეთად".

ბუტკოვი (ტ. 2, 535—543): მანიფესტი რომ გამოცხადდა (12 ენკ. 1801 წ.), ორიოდე თვის შემდეგ კახელებმა თავის მეფედ გამოაცხადეს იულონი და შეჰფიცეს მას. გლეხები ამას არ იწყნარებდნენო. გამოძიებამ შეპყრობილებს აღმოუჩინა: ა) ხელის-მოწერა შესახებ მეფედ დადგინებისა ბაგრატიონთა შთამომავლობიდამ, ბ) ამის შესახებ თხოვნა იმპერატორისადმი და გ) წერილი, რომელთან ერთად თხოვნა უნდა გაეგზავნათ გარსევან ჭავჭავაძესთვის პეტრეს ქალაქს, ამას გარდა ყოველი მომხდარი ეუწყებინათ იულონისთვის და ვახტანგისთვის დუშეთს. ჯარები დაიძრა კახეთისკენ. კახელები დაშინდნენ და იულონს და ვახტანგს აცნობეს—წინანდელი ჩვენი დადგენილება მეფის არჩევის შესახებ გავაბათილეთო. ამასობაში გენ. ტუჩკოვი მივიდა დუშეთს. ვახტანგი გაიქცა გუდამაყარს. იგი ყველამ დასტოვა. გამოეცხადა ტუჩკოვს და მან მოიყვანა თბილისს, საიდამაც წარგზავნეს რუსეთს და ივნისში 1803 წელს უკვე წარუდგა ხელმწიფე იმპერატორს (ბუტკ. 3—369).

28 ივნისს 1802 წელს გულუბრყვილო ყაენი ბაბახანი სწერდა იმერეთის მეფე სოლომონს და იულონ ხანს:

„საქართველო ერანის თვითპყრობელობის ნაწილია. მეფე გიორგიმ და მისმა შვილებმა ღალატით და უგუნურობით მოიყვანეს რუსთა მცირე ჯარი თავიანთი საშველად და ჩააყენეს თბილისში... მეფისძე იულონი არჩეულია, ცნობილია და ჯერ ჩინებულია მეფის ხარისხით საქართველოში, და რადგან მისი დამტკიცება ეკითხება ჩვენს უმაღლესს კარს, ამიტომ ვუბრძანეთ უკვე ჩვენს ფირ-ყული-ხანს ჩვენის უძლეველ ლაშქრით მიეშველოს იულიონ-ხანს მის დასამტკიცებლად და მის და იქაური მიწების დასაპყრობადა და დასამორჩილებლად (ბუტკოვი 2—528, 3—455).

ასე ფიქრობდა ბაბახანი და აუწყდებოდა კია, რომ ძალა არ შესწევდა გამკლავებოდა რუსთა ძლიერებას, რომლის ორიოდე როტის შეტევა, ისიც ციციანოვის ხელმძღვანელობით ელეთ-მელეთს ჰკვრიდა სპარსთ—უმრავ ურდოებს და რუსეთს ზედი-ზედ სძენდა სახანოებსა და სამელიქოებს.

თვით „იულონ ხანსაც", იმერეთის მიჯნაზე საგორებელს მდგომს, შემოუარა ციციანოვის დასტამ (24 იან. 1804 წ.), შეიპყრო და გაუყენა ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზას.

მის დაჭერისას კინაღამ არ დაიღუპა გმირი ლევანიც. ასე იყო:

იულონი იმერეთიდგან მიდიოდა ერევნისკენ. ჩამოდგა-რა ულევ—ეწერს, ვიღაც იმერელმა დააბეზღა. რუსები დაესხნენ განთიადს, დაუხოცეს მხლებლები ტეტია თარხნიშვილი, ფირან ჩერქეზიშვილი და ქიზილი დათუა მითურთ. მერე მისისენ იულონს. ერთმა მიუღერა ხიშტი, მაგრამ გადაეფარა მას ფარეში აბაზაძე, და იხსნა სიკვდილისაგან. ამასობაში განივლდნენ მისი ძმა ფარნაოზი და ძე ლეონი და ლუარსაბ. ფარნაოზი და ლეონ წავიდნენ აწყურს, სადა იდგნენ ლეკები, ხოლო მცირე წლოვანი ლუარსაბ მივიდა ზურაბ წერეთლისას და მუნ შეწყნარებულ იქმნა (მასალ. 43).

1805 წელს ფარნაოზი გამოჩნდა არაგვის ხეობაში. კახელებმა იგი მიატოვეს და მოვიდნენ წინაშე ციციშვილისა. ფარნაოზი მთის გზით მივიდა მანავს, გარესკას, გადავიდა ყაზახს და აქიდა სომხის სოფელ ალდანს. ყაზახის მოურავმა სოლ. ავალიშვილმა, სცნა-რა მისვლა ფარნაოზისა, სომხის დონლუზჩიოლლის წინამძღოლობით თავს დაესხა დალალულ ბატონიშვილს, შეიპყრა ფარნაოზი მის თავადებითურთ და მრჭავარა პავლე ციციშვილს თბილისს. იგი შეაგდეს საპყრობილეში და მერე იულონთან ერთად გაგზავნეს რუსეთს—ფარნაოზი ვარონეჟს, იულონი ტულას (იქვე 75).

მ. ჯანაშვილი.

## სასამართლო

ყალბ ასიგნებით ფულის მიღება *)

(გაგრძელება)

### საბრალმდებლო ოქმი

საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი ივ. ჯაფარიძე კითხულობს საბრალმდებლო ოქმს: „მიმდინარე წლის 3 აპრილს სამხედრო სამინისტროს საანგარიშო—საკრედიტო ნაწილის დავთრების შედარების დროს ხაზინის დავთრებთან სამხედრო სამინისტროს კონტროლის გამგე ქალმა ქ-ნ სკორომნაიამ აღმოაჩინა ხაზინაში ასიგნობა 1919 წლის 19 მარტის თარიღით 110723 ნომრისა და 554875 მანეთისა; ეს ასიგნობა სამხედრო სამინისტროს საანგარიშო საკრედიტო ნაწილში არ იყო გატარებული. ეს ასიგნობა სამხ. სამინისტროს ადმინისტრატიულ ნაწილის უფროსის სახელით იყო დაწერილი ნესტორ ზოტიკაშვილზე, თხოვნით რომ უკანასკნელისათვის მიეცათ 554875 მანეთი იმ ხორბლის საფასურში, რომელიც მან მოაწოდა სამინისტროს 4825 ფუთის რაოდენობით ფუთი 115 მანეთის ანგარიშის კვალობაზე. ამ თანხიდან 2775 მან. უნდა დაექირათ სალერბო გადასახადის სახით.

ასიგნობაზე ხელი ეწერა აღნიშნულ სამინისტროს ნაწილის უფროსის თანაშემწეს გენ.-მაიორ. ციციშვილს, სასურსათო სექციის უფროსს დეკანოზიშვილსა საქმის მწარმოებელს ქარუმიძესა და ბუხგალტერს მჭავარიანსა; ყველა აღნიშნულ პირთ თავიანთ ხელმოწერილად არ იცნეს ამ ასიგნობაზე აღნიშნული მათი სახელი და გვარი.

ამ საქმის გამო აღძრულ წინასწარ გამოძიებაზე გამოირკვა რომ 31 მარტს თბილისის ხაზინაში გამოცხადდა უცნობი პირი, რომელმაც თავი ზოტიკაშვილად გაასაღა და წარადგინა ტალონი აღნიშნულ ასიგნობისა და ორი მისამართი ქაღალდი ერთი ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო ნაწილიდან 31 მარტის თარიღით და 1375 ნომრით ხაზინის სახელზე რომ მისცემოდა მას იმავე დღეს აღნიშნულ ასიგნობაზე ორდერი სახელმწიფო ბანკზე, ხოლო მეორე ქაღალდი იყო შემდგარი იმავე რიცხვით 1375 ნომრით სახელმწიფო ბანკზე რომ ამ ბანკს იმავე დღეს აღნიშნულ ზოტიკაშვილისათვის მიეცა 351100 მანეთი, 552100 მანეთის ორდერიდან, ხოლო დანარჩენი თანხა 200000 მანეთი რომელიც ამ ორდერის თანხიდან რჩებოდა შეეტანათ ამ ზოტიკაშვილის მიმდინარე ანგარიშზე.

*) იხ. „საქართველო" ხუთშაბათის №

ზოტიკაშვილმა წარუდგინა პასპორტი და მოწმობა თვის ვინაობის შესახებ.

გამოძიებამ აღმოაჩინა მონაწილეობა ამ საქმეში სახელმწიფო კონტროლის რევიზორის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის კობიაშვილისა, რომელიც შეპყრობის შემდეგ გამოტყდა ამ დანაშაულობაში და განაცხადა რომ მისი თანამოაზრენი ამ საქმეში არიან თვისი თანაშემწე პ. ი. ბარბაქაძე და ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო ნაწილის უფროსი მ. გ. ბერიძე, მაგრამ რადგანაც უკანასკნელი უარჰყოფდა ამ ბრალდებას ე. ი. ყალბ ასიგნობით ფულის მიღებაზე კობიაშვილი გამოტყდა რომ გარდა ამ ფულისა მან ბარბაქაძესთან ერთად მიიღო ხაზინიდან სხვა და სხვა დროს 120000 მანეთამდე ასიგნებით და ამასთან დასძინა რომ ყოველ ამ ფულის მიღების ნებართვას ასიგნებით იძლეოდა ბერიძე, რომელსაც ამ სამსახურისთვის გადაეცა ამ თანხის ნახევარი წილი. მალე შეპყრობილ იქმნა სამსახურის საქმეებიდან დათხოვნებული ბარბაქაძე და აგრეთვე მისი ნათესავი შორაპნის მაზრის სოფ. ილემის მცხოვრები გ. ი. სხილაძე, რომელიც ნესტორ ზოტიკაშვილის სახელით გამოცხადდა და მიიღო ბანკიდან ამ გვარზე ფული. როგორც ბარბაქაძე ისე სხილაძე გამოტყდნენ ფულის მიღებაში ყალბ ასიგნობით. ჩხრეკის დროს ბარბაქაძეს აღმოაჩნდა 405 მანეთი სხილაძეს – 10,000 მანეთი კობიაშვილსა და ბერიძეს კი ფული არ აღმოაჩნდათ. წინასწარ გამოძიებაზე დაბოლოს გამოირკვა, რომ ბარბაქაძეს და კობიაშვილს წინასწარ მორიგების შემდეგ 1918 წლის 18 ენკენისთვიდან ვიდრე 27 ქრისტეშობისთვემდე შეუდგენიათ 19 ყალბი ასიგნობა, რომელთა საერთო ჯამი 130994 მანეთს უდრიდა. ამ ასიგნებებში ნათხოვნი იყო რომ ფული მიეცათ საქართველოს ლაშქრის სამხედრო კონტროლიორისთვის დასაკმაყოფილებლად სამხედრო მიმოსვლათა სამმართველოს მოსამსახურეების საგზაო და საკვებ ხარჯების ასანაზღაურებლად, ბერიძემ კი, რომელზედაც დამოკიდებული იყო ნებართვის მიცემა ასიგნებით ხაზინიდან ფულის მიღების საქმე, იცოდა რა ამ ასიგნების სიყალბე სხვა და სხვა დროს მისცა კობიაშვილს ნებართვა და კობიაშვილიც იღებდა ფულებს და ხელს აწერდა როგორც სამხედრო კონტროლიორი.

552,100 მანეთის მიღების საქმის თაობაზე გამოირკვა, რომ კობიაშვილს და ბარბაქაძეს შეუდგენიათ ყალბი ასიგნობა 1911 წლ. 19 მარტის თარიღით და დანარჩენი საბუთები და პასპორტი გამოგონილ პირ ზოტიკაშვილზე, სხილაძემ კი, რომელმაც იცოდა როგორც ასიგნობის ისე საბუთების სიყალბე თავი ზოტიკაშვილად გაასაღა და მიიღო ხაზინიდან ორდერი 552,100 მანეთისა და შემდეგ ამ ორდერით მიიღო სახელმწიფო ბანკიდან 352,100 მანეთი.

კობიაშვილმა და ბარბაქაძემ თავი დამნაშავეთ აღიარეს. ბერიძემ და სხილაძემ კი თავი დამნაშავეთ არ იცნეს. ბერიძემ განაცხადა პირიქით რომ კობიაშვილი ასხვლებს მას ჯავრის ამოსაყრელათ. სხილაძემ კი განაცხადა, რომ მას უჭირდა ფული და ისე სხვა უპროცენტოთ კობიაშვილისაგან 10,500 მანეთი რის გამო დათანხმდა მიეღო ფული ხაზინიდან ასიგნობით ავადმყოფ კობიაშვილის ნათესავ ნესტორ ზოტიკაშვილის მაგივრათ და არ იცოდა საბუთთა სიყალბე.

#### მოწმეთა ჩვენება.

მოწმე კანდელაკი ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი დაწვრილებით მოახსენებს სასამართლოს იმ ფუნქციების შესახებ ასიგნების სიყალბის შესახებ, სიყალბე ასიგნებისა უნდა გაეგო ხაზინას შიგრი ამისა იქ არის. მე მაინტერესებდა რამდენათ შეეხებოდა გაფლანგვის საკითხს. კრედიტის აღსრულებას ადევნებს თვალს თვით უწყება და კონტროლი რომელიც გრიფს უკეთებს. ბერიძის დამცველ ბ-ნ გეორგაძის შეკითხვაზე ეჭვი დაბადებია თუ არა ბერიძეს როცა კობიაშვილი ყალბი ასიგნები მოჰქონდა ბ-ნი კანდელაკი ამბობს რომ ასეთი კონკრეტული შემთხვევა მას ახსოვს როცა ბერიძე შევიდა მასთან და მოახსენა რომ მიუხედავათ იმისა რომ ასიგნობა გრიფ დასმულია კონტროლისაგან საეჭვოთ მიმაჩნია და როგორ მოვიქცე რომ გრიფი ავხსნაო. ეს ასიგნობა მახსოვს კობიაშვილის მიტანილი იყო. ბ-ნ კანდელაკი, შეკითხვაზე თუ როგორ სულიერ მდგომარეობას განიცდიდა ბერიძე როცა ეს საქმე გამომჟღავნდა, ამბობს რომ ძალიან შეწუხებული იყო ამ გარემოებით რომ მისი გვარიც ნახსენები იყო ამ საქმეში ბერიძის დამცველ მესხიშვილის შეკითხვაზე თუ რა პიროვნება იყო ბერიძე ბ. კანდელაკი დაწვრილებით აუწყებს სასამართლოს რომ მას იცნობდა მოსკოვიდან როგორც პატიოსან და მუშა კაცათ. სახელმწიფო ეგზამენები ჩემზე ადრე ჩააბარაო და როცა საერობო კავშირში ქ. მინსკში წვეიდა იქიდანაც მასზე კაი ხმები მოდიოდაო. ეს იყო 1915 წელში. მას შემდეგ აქ თბილისში მას შევხვდი. „ზემგორში" მსახურებდა და მე როცა სამინისტროში დამნიშნეს მას ალლო ჰქონდა უკვე აღებული სალიკვიდაციო საქმეში და ჩვენც მოვიწვიეთ. კერძოთ იგი ცხოვრებაში განიცდიდა გაჭირებას და ხელმოკლეთ სცხოვრებდაო.

ბ-ნ კანდელაკის ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ სხდომა სწყდება 5 წუთით და კრების განახლებისას ჩვენებას ართმევენ სისხლის სამართლის მილიციის უფროსს პ. ზ. ფაჩულიას, რომელიც ამბობს რომ ამ სიყალბის აღმოჩენისა და კობიაშვილის დაჭერის შემდეგ ბერიძე წარა-მარა ტელეფონით მელაპარაკებოდა და ძლიერაც მეხმარებოდა მოღალატის პოვნაში და საქმის ჩქარა გამომჟღავნებაში. და როდესაც კობიაშვილი გამოტყდა მე და ჩემმა ამხანაგებმა საჭიროთ დავინახეთ ბერიძისათვის ეს ჩქარა გვეხარებინაო.

დამც. მესხიშვილის თხოვნით ბ. ფაჩულიას ჩვენება როგორც საქმისათვის საგულისხმო და საჭირო სასამართლოს დადგენილებით ოქმში იქმნა შეტანილი.

მოწმე ღლონტი ფინ. სამ. დეპარტ. უფროსი ვრცლად ხსნის ბერიძის სამსახურის მოვალეობას და აღნიშნავს რომ მის მოვალეობას სრულიადაც არ შეადგენდა დოკუმენტების სიყალბისა თუ სიმართლის განხილვას მით უფრო რომ ზედ სახელმწიფო კონტროლის გრიფი ჰქონდა დასმული. დამცველთა შეკითხვებზე ის უპასუხებს რომ ბერიძეს წინანდელი სამსახურის დროს როდესაც იგი სახელმწიფო ბანკში პასუხსაგებ თანამდებობაზე მსახურებდა ყოველგვარი ბოროტების ჩადენა შეეძლო, მაგრამ იგი ყოველთვის სპეტაკ და პატიოსან მოსამსახურეთ ითვლებოდა. გარდა ამისა იგი მეტათ შევიწროებული სცხოვრებდა, ბევრ ჩვენი მოსამსახურის ფული დღესაც მას ... მაგრამ არც ერთხელ არა ყოფილა შემთხვევა მისი ცუდათ ხსენებისა და რაიმე ეჭვის შეტანისა.

სახელმწ. კონტრ. გოგიჩაიშვილი დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს იმის შესახებ თუ მან როგორ შეიტყო ეს ამბავი და როგორ გამოუტყდა მას კობიაშვილი მომხდარ სიყალბის წარმოებაზე. აღნიშნავს, რომ საქმის გამოძიების დაწყებისას მე ეჭვი მაშინვე კობიაშვილზე მივიტანე რადგან იგი წინათაც პატარა ანგარიშის სიყალბეზე მყავდა შემჩნეული და ამიტომ პირველათ ის დავიბარე. ჩემი ეჭვი არ გამტყუნდა და ჩემის გამოკვლევით სიყალბის ჩამდენი ნამდვილათ კობიაშვილი აღმოჩნდა. ჩვენების დროს ის მონაწილეებათ არავის ასახელებდა მაგრამ შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ ბერიძე და ჩემთან მოსამსახურე ამირეჯიბიც უნდა ყოფილიყვნენ ჩარეულნი, მაგრამ ბოლოს დაიბადა შეხედულება რომ ესენი არაფერ შუაში იყვნენ. რაც შეეხება ასიგნობის წერა-გაცემას მოწმე აღნიშნავს რომ მინდობილი ჰქონდა დაწესებულების რევიზორებს და კობიაშვილს შეეძლო ეს ბოროტათ ესარგებლებინა.

ქ. ნ. აბხაზი „ზემგორის" თავმჯდომარეთ ნამყოფი და დ. აბხაზი, ფრონტის სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარეთ ნამყოფი და ეხლა კი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დეპარტ. დირექტორი, აჩვენებენ, რომ ბერიძე მათთან სამსახურის დროს ერთ საუკეთესო და მეტად სინიდისიერ მოსამსახურეთ ითვლებოდა და მის ხელში ათეულ მილიონებს გაუვლია, ყოვლად წესიერათ და დაუკლებლად, თუმცა კი მას შეეძლო ბოროტად ესარგებლა ისე რომ ვერავის გაეგო რამე.

მოწმე მენაბდე ფინ. დეპარტ. უფროსათ ნამყოფი აღიარებს ბერიძის უმწიკვლო სამსახურს მის ხელქვეითად ყოფნის დროს აღნიშნავს ისეთ გარემოებას როდესაც ბერიძემ ასიგნობის ხელმოწერის დროს წინააღმდეგობა გაუწია სახელმწიფო კონტროლის ერთ მოსამსახურეთაგანს რომელიც ბოლოს კობიაშვილი აღმოჩნდა. გარდა ამისა ბერიძეს გაჭირება მუდამ ეტყობოდა მას დღესაც მართებს ჩემი ფული და როდესაც შევიტყე რომ ვითომც იგი ასეთ სიყალბეში მონაწილეობას იღებდა მეტად გასაოცრად და სამწუხაროდ დამრჩაო. რაც შეეხება ასიგნობის ხელმოწერას ბერიძის თანამდებობას არ შეადგენდა რომ ესინჯა ეს ასიგნებიო.

თავმჯდომარე სხდომას ხურავს ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე მეორე დღის დილის 9 საათამდე.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. ხ.

ბ. რედაქტორო.

თქვენი პატივცემული გაზეთის 13 და 14 ენკენისთვის ნომრებში მოთავსებული იყო ბ. პეტრე მელიას წერილი, რომელზედაც ნება მიბოძეთ პასუხი გავცე.

პეტრე მელია აყენებს ჩემ წინააღმდეგ ოთხ ბრალდებას: 1) სასურსათო საბჭო სოლორაშვილის პირით ერბოს ყიდულობს ფუთს 320 მ. მაშინ, როცა მასთან ერთდროულად, კოოპერატივთა კავშირი დარჩიას პირით ფუთს ყიდულობს 280 მანეთად თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ნაყიდია რამოდენიმე ათასეული ფუთი ერბო, დავინახავთ, რომ დემოკრატიამ სოლორაშვილის „ბოროტმოქმედ", კომმერციის წყალობით მილიონები დაკარგა.

ახალ სასურსათო საბჭომ დაარსა ბათუმში ქართულ ნაციონალურ საბჭოსთან გაცვლა-გამოცვლის კომიტეტი საქართველოს კონსულის თავმჯდომარეობით. ხსენებული კომიტეტი, შემდეგში აგენტურად გადმოკეთებული, სხვა და სხვა გაცვლა-გამოცვლის ოპერაციებს აწარმოებდა ცენტრალური საბჭოს და კერძო ჩემი დირექტივების თანახმად. ხსენებულ კომიტეტმა სხვა და სხვა ცვალებადი პირობების გამო შეიძინა სხვა და სხვა ფასებში ზეთი (და არა ერბო").

როგორც ეს ბუხჰალტერიის წიგნებიდან სჩანს. პირველი პარტია ზეთი შეიძინა 2.594 ფუთი 14 გირვ.—300 მან. ფუთი; მეორე—776 ფუთი 12 გირვ.—320 მან. ფუთი, მესამე—2.021 ფუთი—280 მან. ფუთი და მეოთხე—783 ფუთი—260 მან. ფუთი; სულ ბათუმის აგენტურამ შეიძინა 6.174 ფუთი 26 გირვ. — 1.799.181 მ. ღირებული, საშვალოდ—290 მან. და არა 320 მ., როგორც ამას პეტრე მელია სწერს.

ბრალდების მეორე მუხლში პეტრე მელია ამბობს: სოლორაშვილმა იყიდა შაბიაბანი—500 მ. და დარჩიამ—400 მან. ფუთი.

ეს ბრალდებაც სრულიად არ ეთანხმება სიმართლეს. საბჭომ მაისში იყიდა 9.300 ფუთი შაბიაბანი რუსულ-აზიატის ბანკში ინგლისელ ფირმის წარმომადგენელ უატისაგან, ფუთი 260 მ. ათას მანეთიან კერენკებით, და ბოლოს შაბიაბანი დაჯდა ბონებზე—386 მ. ფუთი.

საბჭოს სხვა და სხვა პირებთან ბევრი და ხანგძლივი მოლაპარაკება ჰქონდა თამბაქოს შეძენის შესახებ და ბოლოს საბჭომ შეიძინა სოხუმში 20.000 ფუთი თამბაქო საშვალოდ 325 მ. ფუთი, და ორი თვის წინად გაგზავნა ინგლისში, სადაც ეს თამბაქო ახლა უკვე გაყიდული უნდა იყოს არა ნაკლებ 3.000 მ. ფუთი და, ეს ოპერაცია მისცემს ჩვენს სახელმწიფოს 15—20 მილიონს წმინდა მოგებას თამბაქოს შეძენის შესახებ ბ. მელია ცილს მწამებს ვითომდა მე კერძო მოლაპარაკება მქონოდა ვინცამ კონტრ-აგენტთან საბჭოში ყველა საქმის, მეტადრე დიდ თანხისას, ყოველთვის კოლეგიურად ვაწარმოებთ.

4) ბათომის აგენტურამ მართალია მისცა ასი ათასი მანეთი ბე შაქარში და რადგანაც შაქრის ყიდვას საქმე ვერ მოგვარდა ეს ბე აგენტურამ უკან დაიბრუნა.

როგორც ხედავთ ოთხივე საბუთი ბ. მელიას მიერ წამოყენებული ცნობების დამახინჯებაზე არის დამყარებული. ბ. მელიას ჰსურს რამენაირად ჩირქი მომცხოს მე, მაგრამ ამ გვარი ცდა ყოველთვის უნაყოფოთ დარჩება.

საზოგადო მოღვაწესათვის ის კი არ არის საკმარისი, რომ პირადათ პატიოსანი იყოს, არამედ ის უნდა სცდილობდეს არავის არ მისცეს საშვალება მოიჩმაროს და გაიტაცოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საკუთრება.

როდესაც ჩვენ სასურსათო საბჭოში ამოვირჩიეს, სხვათა შორის, დაგვრჩა მემკვიდრეობათ პეტრე მელიას საქმე. იმ ხანებში საბჭოში მელიასთან დამოკიდებულება უკვე შეწყვეტილი იყო.

საქმის ვითარებამ არსებითად დაგვანახა შემდეგი: მელიას გაუტანია ათი ათასი ფუთი თუნუქი (თეთრი ქესტი), რაც წარმოადგენს არა ნაკლებ ოთხი მილიონი მანეთის ღირებულობას. მელიას უნდა მიეცა საბჭოსთვის ექვსასი ... კონსერვი, მაგრამ ... მხოლოდ ორმოცი ათასი ყუთი.

აი, მოკლედ, საქმის ვითარება. ამით სახელმწიფო კარგავს არა ნაკლებ სამ მილიონ ნახევრისას.

როგორც გინდა დატრიალდეს საქმე, იმ ფაქტს, რომ სახელმწიფომ რამოდენიმე მილიონი მანეთი იზარალა ვერავინ წინ ვერ აღუდგება.

სასურსათო საბჭოს საიდუმლოდ მოცული არაფერი აქვს, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ პეტრე მელიამ ზედმიწევნით იცის საბჭოს შინა საქმეების ვითარება.

მელიას საქმის შესახებ საბჭომ დანიშნა განსაკუთრებული კომისია, რომლის თავმჯდომარე არის ჩემი ამხანაგი ვასო ცაბაძე, რომელიც თავის მხრივ უფრო ზედმიწევნით დაასურათებს პეტრე მელიას და მის საქმეს. მე კი ვათავებ მით, რომ ბ. მელიას სურს გაღმა დაიჭიროს საქმე რომ გამოღმა არავინ დაედევნოს. მაგრამ ცდა ამაოდ ჩაუვლის.

ცენტრ. სასურსათო საბჭოს თავმჯდომარე გრ. ხოლორაშვილი.

## მიმოსვლა
### სახალხო მატარებლებისა
### ს. ს. რკ. გზ.

გადის თბილისიდან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. | 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | სალ. | 8 ს. | 7 წ. |
| ბათომში | № 5 | სალ. | 5 ს. | 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. | 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. | 30 წ. |

მოდის თბილისში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. | — |
| ფოთიდან | № 4 | სალ | 8 ს. | 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. | 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. | 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. | 06 წ. |

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

| | | | |
|---|---|---|---|
| № 8 | საღამოს | 6 ს. | 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. | 32 წ. |
| № 4 | საღამოს | 9 ს. | 50 წ. |

მოდის სალოღლიდან.

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. | 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. | 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. | 52 წ. |

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. | 40 წ. |
| № 61 | დილის | 7 ს. | 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. | 26 წ. |

მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. | 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. | 24 წ. |
| № 64 | სალ. | 8 ს. | 4 წ. |

თბილისი-ხანაინა

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო ისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.


### საექიმო კაბინეთი
### ექ. პ. ტუეშელაშვილისა

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესე და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

### ბ. ბ. მებრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და ... ჭლექით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 14—1 7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის
### ალექსანდრე დავითის ძის
### ქევლიშვილისა

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.